ეროვნული ბიბლიოთეკა


# ახალგაზრდა ივერიელი

გამოდის 1921 წლიდან

29 მაისი № 59 (11545) 1990

ახალგაზრდული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

ფასი 3 კაპ.


## სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების განცხადება

მიმდინარე წლის 20 მაისს გაზეთმა „სოფლის ცხოვრებამ" გამოაქვეყნა „საქართველოს აგრარული კავშირის" წესდების პროექტი. მის გამოქვეყნებას, როგორც შემდგომში გამოირკვა, წინ უსწრებდა აგრარიკოსთა რაიონული კონფერენციების ჩატარება და დელეგატთა დასახელება რესპუბლიკური კონფერენციისათვის, რომელსაც 23 მაისს უნდა დაემტკიცებინა წესდება და შეექმნა აგრარიკოსთა კავშირი. ბოლო ხანს გამოირკვა, რომ კონფერენცია გადადებულია 1 ივნისისათვის. ჩვენი აზრით, არც 3-დღიანი, არც 10-დღიანი პერიოდი საკმარისი არ არის პროექტის საჯაროდ განხილვისათვის, მით უფრო, როცა პროექტი შედგენილია აშკარად ნაჩქარევად და არაპროფესიონალურად. პროექტის ძირითადი არსი და მიზანდასახულება არა თუ საკამათო, საერთოდ მიუღებელია ქართული სოფლისა და გლეხობისათვის, ვინაიდან საწყისშივე ეწინააღმდეგება სოფლად ამჟამად მიმდინარე პროცესებს თავისუფალი შრომის პრინციპების დამკვიდრებისა. მაშინ, როცა ძველებური სამეურნეო მმართველობის ორგანიზაციული სტრუქტურა ინტენსიურად ირღვევა, „აგრარული კავშირის" პროექტი ძველისა და დრომოჭმულის განმტკიცებას ცდილობს, რაც დინების საწინააღმდეგო სვლას მოგვაგონებს.

წესდების პროექტი რომ არ გამოხატავს სოფლის მშრომელთა, გლეხობის უმრავლესობის ჭეშმარიტ ინტერესებს, ამას ის ფაქტიც ადასტურებს, რომ რაიონული კონფერენციები ჩატარდა ერთგვარად შენიღბულად და კონსპირაციულად, გლეხობის, მოსამსახურეებისა და ინტელიგენციის ფართო წარმომადგენლობის გარეშე, რესპუბლიკური კონფერენციის ჩატარებაც საქართველოს აგრარიკოსთა ფართო საზოგადოებისათვის ცნობილი არ ყოფილა, ამ კამპანიაში მონაწილეობა არ მიუღიათ არც საზოგადოებრივ ორგანიზაციებს.

ზემოაღნიშნულის პარალელურად, აგროსამრეწველო კომპლექსი და რაიონული საბჭოს აღმასკომები ყოველმხრივ აჭიანურებენ და ხელს უშლიან სოფლად გლეხური მეურნეობების, გლეხთა კავშირების შექმნისა და მათი ოფიციალური რეგისტრაციის პროცესებს. უფრო მეტიც, ამ ბოლო ხანს მიმართეს რეპრესიებს სოფლის იმ აქტივისტების — გლეხების, მოსამსახურეებისა და ინტელიგენციის მიმართ, რომლებიც ხელმძღვანელობენ სოფლად მეურნეობრიობის პროგრესული ფორმების, თავისუფალი შრომის პრინციპების დამკვიდრებას. დაშინებისა და შანტაჟის პოლიტიკას მიმართავენ აგროსამრეწველო კომიტეტის ოფიციალური წარმომადგენლები პროფკავშირებისა და რაისაბჭოს აღმასკომის წარმომადგენელთა აქტიური მონაწილეობით, რაც ყოვლად არასამართლებრივი და დანაშაულებრივია. ყოველი ხერხით ცდილობენ სოფლის მშრომელთა საერთო კრების გადაწყვეტილებების გაუქმებას, მათ უკანონო და დანაშაულებრივ ქმედებად წარმოდგენას.

განსაკუთრებული თავდასხმის ობიექტად იქცა ტყიბულის ზონის სოფელ ცუცხვათის საერთო კრების კანონიერი გადაწყვეტილება კოლმეურნეობის გაუქმების, გლეხურ მეურნეობაზე გადასვლისა და „გლეხთა კავშირის" შექმნის შესახებ. სოფლის საერთო კრებისა და „გლეხთა კავშირის" ინიციატორები რეპრესიებს განიცდიან. რუსთაველის საზოგადოების სოფლის პირველადი ორგანიზაციის თავმჯდომარე, სკოლის დირექტორი ალექსანდრე ამყოლაძე განსაკუთრებული თავდასხმის, დაშინებისა და შანტაჟის ობიექტად იქცა. ასევე ავიწროებენ და დაპატიმრებითაც კი ემუქრებიან რაიონული აგრომრეწვის ხელმძღვანელები კოლმეურნე ელგუჯა ობოლაძეს, რომელმაც გაზეთ „კაბადონ-8"-ში გამოაქვეყნა აგრომრეწვის მესვეურთა უკანონო ქმედების მამხილებელი წერილი.

მივიღეთ ცნობა იმის შესახებ, რომ ცუცხვათში ოფიციოზი აპირებს აქციის ჩატარებას, რომლის მიზანია სოფლის საერთო კრების კანონიერი გადაწყვეტილებები დანაშაულებრივ ქმედებად გამოაცხადოს, რათა შემდეგ „დაკანონებულად" გაუსწორდეს კრების ორგანიზატორებსა და „გლეხთა კავშირის" კომიტეტის წევრებს.

აგროსამრეწველო კომპლექსის მიერ სოფლის ჭეშმარიტი ინტერესების საწინააღმდეგოდ წარმართული კამპანია უნდა მივიჩნიოთ ანტიეროვნულ, ანტისაზოგადოებრივ და ანტიდემოკრატიულ ქმედებად.

პრინციპულად მოვითხოვთ რესპუბლიკის ხელისუფლებისაგან გადამჭრელი ზომების მიღებას, რათა შეწყდეს აგროსამრეწველო კომიტეტისა და რაიონული საბჭოების აღმასკომების მიერ სოფლის ჭეშმარიტი ინტერესების გამომხატველი პროგრესულად მოაზროვნე აქტივისტების დევნა და შევიწროება; გამოვლენილ იქნან ის პირები, რომლებიც ოფიციოზის წარმომადგენელთა სტატუსით ამ დანაშაულებრივ საქმიანობაში მონაწილეობენ.

შეჩერდეს ე. წ. „აგრარული კავშირის" შექმნის პროცესი, ვინაიდან იგი წარმოადგენს ძველებური, დამაკაბალებელი მმართველობის, მთელი დრომოჭმული სტრუქტურის კოსმეტიკური სახეცვლილების მცდელობას, საფუძველშივე ეწინააღმდეგება ქართული სოფლის ბუნებრივი განვითარების კანონზომიერებებს.

საქართველოს მინისტრთა საბჭომ უახლოეს ხანში რეგისტრაციაში გაატაროს და დაამტკიცოს „გლეხთა ასოციაციის" წესდება და პროგრამა; საქართველოს უზენაესმა საბჭომ მისცეს მითითება რაიონული საბჭოების აღმასკომებს „გლეხთა კავშირების" რეგისტრაციის თაობაზე.

სოფლად დაწყებული მეურნეობრიობის ახლებური ფორმების ძიების პროცესი თავისი არსით პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ ხასიათს ატარებს. აგროსამრეწველო კომპლექსის შენიღბულ ანტისაზოგადოებრივ და ანტიდემოკრატიულ ქმედებას შესაძლოა სოფლად პოლიტიკურ-ეკონომიკური პროცესების გამწვავება მოჰყვეს, რაც თავის მხრივ მთელს ამ მოძრაობას სოციალური მოძრაობის არხში გადაისვრის, ეს კი ყოვლად დაუშვებელია ქართული ეროვნული მოძრაობის თვალსაზრისით.

დროულად უნდა აილაგმოს ძალმომრეობის ყოველი გამოვლინება, წინააღმდეგ შემთხვევაში მთელი პასუხისმგებლობა დაეკისრება იმას, ვინც ამ უარყოფითი პროცესების ინიციატორი და ხელისშემწყობი იქნება.

**რუსთაველის საზოგადოების სოფლის მეურნეობის მუდმივი კომისია.**

## სა-ქარ-თვე-ლოს



## ძლი-ე-რე-ბას



## გაუ-მარ-ჯოს!

ხალხმრავლობა არასოდეს აკლია თბილისს, მაგრამ განსაკუთრებით საგრძნობი იყო იგი შაბათს, 26 მაისს. სამფეროვანი ეროვნული დროშების ფრიალით გულაჩქროლებულმა ხალხმა დილიდანვე აავსო ქუჩები. დიდი და პატარა, მხცოვანი და ყრმა გარეთ გამოეფინა. შეიძლება ითქვას, რომ თბილისში ჩამოვიდა სრულიად საქართველო. ბევრ მათგანს, იქნებ, არც ჰქონდა გააზრებული, თუ რას ნიშნავს სახელმწიფოებრიობა, ანდა რით გამოიხატება მისი აღდგენა, მაგრამ ისიც აღტაცებინა იმ იდუმალ ხიბლს, რომელსაც კვლავაც ინარჩუნებს სიტყვები, ახლა ყოველ ჩვენგანს დღემუდამ პირზე რომ აკერ „თავისუფლება", „დამოუკიდებლობა", „სახელმწიფოებრიობის აღდგენა". ვისთვისაც არ უნდა გეკითხათ, ყველა გეტყოდათ რომ საქართველოს ახლა სჭირდება ერთიანობა, ძალთა მობილიზაცია და კონსოლიდაცია. საღამოს კი ადამიანები ორ სხვადასხვა ადგილას შეიკრიბნენ, რათა გამოეთქვათ თავიანთი გულისთქმა და პატივი ეცათ წინაპართა ხსოვნისათვის, ვინც ამ 70 წლის წინათ სახელმწიფოებრიობის აღდგენით პატარა ნაპერწკალი დაგვიტოვა, რა-

(დასასრული მე-2 გვ.).

## შეიქმნა საქართველოს ახალგაზრდობის კავშირი

დამთავრდა საქართველოს კომკავშირის თვითგამორკვევის პროცესი. 25 მაისს ახალგაზრდობის ქალაქში გაიმართა საქართველოს ახალგაზრდობის კავშირის დამფუძნებელი ყრილობა. ამის საფუძველი გახდა რესპუბლიკის 78 საქალაქო და რაიონულ რგოლში გამართული კონფერენციებისა და კრებების გადაწყვეტილებანი.

ყრილობამ მიიღო დადგენილება საქართველოს ახალგაზრდობის კავშირის შექმნის, მისი იურიდიული უფლებამოსილებისა და მემკვიდრეობითობის შესახებ, მიმართვა რესპუბლიკის ახალგაზრდობისადმი.

ორგანიზაციის ხელმძღვანელ ორგანოდ ყრილობამ აირჩია დროებითი სათათბირო.

**საქინფორმი**

## დაფუძნდა თავისუფალი ასოციაცია

1990 წლის 25 მაისს ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბში გაიმართა საქართველოს თავისუფალი ახალგაზრდობის ასოციაციის დამფუძნებელი კონფერენცია. საფუძველი ჩაეყარა ყოფილ, კომკავშირის ბაზაზე დამოუკიდებელ არაპოლიტიკურ, არაპარტიულ ახალგაზრდულ ორგანიზაციას.

# სა-ქარ-თვე-ლოს ძლი-ე-რე-ბას გაუ-მარ-ჯოს!



(დასასრული)

თა დღეს თავისუფლების დიდ კოცონად ავაბრიალოთ.

მთელი ქალაქი კი არა, მთელი საქართველო მივიდა ეროვნულ სტადიონსა და ყოფილ „ქარიშხალის" სტადიონზე, 26 მაისის სახელი რომ უწოდებიათ ახლა, იმ 26 მაისობების აღსანიშნავად აქ რომ იმართებოდა თავისუფალ და დემოკრატიულ საქართველოში.

ამ ღონისძიებათა ორგანიზატორებს ეროვნულ ფორუმსა და მრგვალ მაგიდაში გაერთიანებულ პოლიტიკურ პარტიებს შორის დღეს ერთიანობა არ სუფევს, მაგრამ ღმერთმა ნუ ქნას, რომ ორივე თავყრილობაზე ხალხის სიმრავლე ორ ბანაკად საქართველოს გაყოფის მაჩვენებელი იყოს. ბოლოს და ბოლოს მთელი საქართველო ერთ სტადიონზე ხომ ვერ დაეტეოდა და თანაც ორივეგან ითქვა, რომ საქართველოს ხსნა მხოლოდ ერთიანობაშია, რომ ჩვენ გვაქვს ხსნის ერთადერთი გზა. ეს არის გზა ილიას სიბრძნით და ზნეობით განათებული და მას უნდა დავადგეთ, თუ გვინდა, რომ ვიხილოთ ჩვენი სამშობლო თავისუფალი, დამოუკიდებელი, დემოკრატიული. და იქნებ ნიშანდობლივაც იყო, რომ იმ დღეს თავის თანამემამულეებს 69 წლის განშორების შემდეგ, მიმართა პარიზიდან ჩამოსულმა ვიქტორ ხომერიკმა, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიწათმოქმედების მინისტრის ნოე ხომერიკის ვაჟმა. 10 წლის წაიყვანეს იგი საქართველოდან. ვიქტორსა და მის მშობლებს თავიანთი სურვილით არ დაუტოვებიათ სამშობლო. ისინი იძულებული გახდნენ ასე მოქცეულიყვნენ. პარტიებს შორის ატეხილმა შუღლმა, ეროვნულზე მაღლა სოციალური ინტერესების დაყენებამ, ილიას გზის დაკარგვამ ბევრს დააკარგვინა სამშობლო და უცხო მიწაზე სიცოცხლე და სიკვდილი მიუსაჯა. ვიქტორ ხომერიკის ალერსიანი, მღელვარებით ათრთოლებული ხმა, და რაც მთავარია, მისი ბედი, თითქოს გვაფრთხილებდა, რომ არ არსებობს უფრო დიდი ფასეულობა, ვიდრე სამშობლოა და ამისათვის ბევრი რამე უნდა დავთმოთ, მათ შორის პირადი სიმპათია-ანტიპათია, იქნებ, პოზიციაც კი, თუკი ამას სამშობლოს ინტერესები მოითხოვს. შესანიშნავად ბრძანა მიტინგზე ბატონმა ნოდარ ნათაძემ, ჩვენ ყველანი საქართველოს ბანაკში უნდა ვიყოთო.

ასეთ დღეებში, როცა საზეიმო განწყობილების მიუხედავად, ჩვენს სატკივარსა და პრობლემებზე დავფიქრდებით ხოლმე, უთუოდ იჩენს თავს პროფესიონალიზმის აუცილებლობა, იმის აუცილებლობა, რომ ყველამ თავის ადგილზე და თავისი საქმე აკეთოს, აკეთოს გულმოდგინედ, მუყაითად, იმის შეგნებით, რომ თითოეული ჩვენთაგანის ამგვარი შრომის გარეშე არ იქნება დამოუკიდებელი, თავისუფალი საქართველო. ქართველს აქვს ერთჯერადი გმირობის უნარი, მაგრამ მას ძალიან გაუჭირდება ხანგრძლივი გმირობა, ისეთი, რომელსაც ლიტველი ხალხი იჩენს.

26 მაისის შეკრებაზე წარმოჩნდა, რომ ბევრ ვინმეს ვახსოვართ, ბევრს აღელვებს ჩვენი ბედი, გერმანელებიც მოგვესალმნენ, ლიტველებიც, ჩეჩნეთ-ინგუშეთიდან ჩამოსულმა რეჟისორმა მუსტაფა ბეკოევმა თავისი გამოსვლა აქაიქა ჩართული ქართული სიტყვებითაც გაალამაზა და ვეებერთელა აუდიტორიის სიმპათიაც მოიხვეჭა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, უნდა გვახსოვდეს, რომ მხოლოდ ჩვენი თავის იმედად უნდა ვიყოთ, მხოლოდ ჩვენს გონიერებაზე, ჩვენს შრომასა და მკლავის ძალაზეა დამოკიდებული ჩვენივე ხვალინდელი დღე.

და კიდევ ერთი რამ, რითაც უნდა დაგვეწყო ალბათ, მაგრამ, რომელიც დამაგვირგვინებლად უფრო გამოდგება — 26 მაისი მერაბ კოსტავას დაბადების დღე იყო. განსხვავებული პოლიტიკური მოსაზრებების მიუხედავად, ამ ორ უზარმაზარ? უშველებელ აუდიტორიაში თავშეყრილი ხალხი ჭეშმარიტად ერთსულოვანი იყო თავისი ეროვნული გმირისადმი პატივისცემაში და სწორედ ამ პატივისცემის სიწრფელემ უნდა გააერთიანოს, ერთ მუშტად შეკრას საქართველო. ამას ითხოვს მერაბ კოსტავას წმინდა სული, საქართველოს ცის კაბადონიდან გადმომზირალი.

**საკუთარი ინფორმაცია**

**ბადრი ვადაჭკორიას ფოტოები.**

# ეს მშვენიერი სიმართლე




**საქართველოს** თეატრის მოღვაწეთა კავშირმა გამოსცა კრიტიკოს ნოდარ გრიგალაშვილის წიგნი, რომლის გარეკანზე სამი სათაურია: „სამწუხარო პარალელები", „აი ვინ გვარცხვენს" და „კეისარს კეისრისა". გარეკანიდანვე მინიშნებულია, რომ წიგნი სამი განსხვავებული ნაწილისაგან შედგება. ამ კრებულში შესული არც ერთი წერილი არ ეხება თეატრალურ სამყაროს, ამდენად საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირის მიერ ამ წიგნის გამოცემა ავტორის გაბედული, პრინციპული პოზიციისადმი მხარდაჭერად უნდა მივიჩნიოთ. ასეთ მოქალაქეობრივ გამბედაობას, ჩვენში მიმდინარე საჯაროობისა და დემოკრატიზაციის პროცესის მიუხედავად, ყოველთვის ყურადღებას როდი იჩენენ გამომცემლობების მესვეურები. თუმცა ისიც სათქმელია, რამდენად ჭეშმარიტია ეს საჯაროობა და დემოკრატია, რამდენად ანიჭებს იგი კერძო პირსა თუ მთელ ორგანიზაციას შემოქმედებით თავისუფლებას...

გარეკანზე საათი და კალენდარი გამოუსახავს მხატვარს (დროის ნიშნითაა აღბეჭდილი ეს წიგნი) და კიდევ თვალები, სხვადასხვანაირად მომზირალნი (ჩვენი თანამდევი ბედი საუკუნეთა მანძილზე).

1889 წლის 9 აპრილს თბილისში რუსთაველის პროსპექტზე დაღვრილმა სისხლმა სუყველას თუ არა, უმეტესობას მაინც გაახსენა 1905 წლის 9 იანვარს, მაშინაც კვირა დღეს, პეტერბურგში, სასახლის მოედანზე დაღვრილი სისხლი. მოაგონა და სამწუხარო პარალელიც გაჩნდა არა მხოლოდ მომხდარ მოვლენებს, არამედ ყოველივე ამის ჩამდენ მთავრობებს შორისაც. მაგრამ განა ვიცოდით (ყოველ შემთხვევაში — უმეტესობამ), რომ ასეთივე პარალელების გავლება შეიძლება 1989 წლის 9 აპრილსა და 1905 წლის 22 ოქტომბერს, 1989 წლის 9 აპრილსა და 1905 წლის 29 აგვისტოს შორის? და თანაც პარალელის მოსაძებნად პეტერბურგში კი არ მოგვიხდებოდა წასვლა, არამედ აქვე, თბილისში, იმავე რუსთაველის პროსპექტზე, რომელსაც მაშინ გოლოვინის პროსპექტი ერქვა; აქვე, თბილისში, ლენინის მოედანზე, რომელსაც მაშინ ერევანსკის მოედანი ერქვა. ანდა, იცოდით, თუ არა აქამდე, რომ საქართველოდან რუსის ჯარის გაყვანას პირველად სერგო ორჯონიკიძე დაჰპირებია? მე პირადად უნდა ვაღიარო, რომ ამ წიგნის წაკითხვამდე არც ამ სამწუხარო პარალელების შესახებ ვიცოდი რამე და არც სერგო ორჯონიკიძის დაპირებისა. აფხაზეთისა და ოსეთის შესახებაც გაიგებს ბევრ ახალ ცნობას მკითხველი.

წიგნის მეორე ნაწილის სახელწოდება „აი ვინ გვარცხვენს" უეცრად იქნებ ეხამუშოს კიდეც მკითხველს და ხუთწლედების მოწინავეთა თუ ჩამორჩენილთა სურათებით აჭრელებული დაფები გაახსენოს, ანდა ეს ყველაფერი არაეთიკურად მოეჩვენოს, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით. ჩაიკითხავს ამ წერილებს, რომლებიც ლექსების თუ პროზაულ ნაწარმოებთა ავტორებს ეძღვნება (ხელი არ მიბრუნდება, მათ პოეტები და პროზაიკოსები ვუწოდო) დარწმუნდება ნოდარ გრიგალაშვილის პოზიციის სიმართლესა და სამართლიანობაში და იმასაც ირწმუნებს, რომ სწორედ ასეთი სახელწოდება უნდა ჰქონოდა წიგნის ამ ნაწილს, რადგანაც ერთხელ და სამუდამოდ უნდა ითქვას სიმართლე, რაც არ უნდა მწარე იყოს იგი, და რაც არ უნდა აღიარებულ ავტორიტეტებს არ უნდა ეხებოდეს. განვლილმა 70 წელმა განა არ მოგვცა იმის უტყუარი საბუთები, რომ პატივმოყვარეობასთან შერწყმული უნიჭობა, მწერლობისა თუ ხელოვნების სხვა დარგებში გამოხატული, ის უწყინარი „უქმად შრომა როდია, რომელიც უქმად ჯდომას" სჯობს. მის მიერ მიყენებული ზარალი მანეთებში არ გამოისახება და ეს იქნება სიმბოლურიცაა, რადგანაც იგი უფრო მეტია, ვიდრე ნებისმიერი ციფრით გამოხატული მატერიალური ზარალი. ეს არის მკითხველის ანუ ათიათასობით ადამიანის გემოვნების და საბოლოო ჯამში, ზნეობის გარყვნაც.

კიდევ კარგი, რომ ავტორმა ამ ნაწილით არ დაამთავრა თავისი წიგნი და მესამე ნაწილიც დაურთო — „კეისარს კეისრისა", სადაც შევიდა ჩვენი სახელოვან (ამ სიტყვის გაუცვეთავი მნიშვნელობით) ადამიანთა შესახებ დაწერილი წერილები, აკაკი ბაქრაძე, ნოდარ წულეისკირი, შოთა ნიშნიანიძე, გურამ ასათიანი, კიტა მეგრელიძე — ის ადამიანები არიან, ვინც ბევრჯერ შეუსწორო ფასეულობათა გადაფასებას, მაგრამ თვითონ არაფერი გადაუფასებიათ, რადგან იმთავითვე მშვენივრად ჰქონდათ ყველაფერი შეფასებული.

ჩაიკითხავს მკითხველი ნოდარ გრიგალაშვილის ამ მშვენიერ (თავის სიმართლით მშვენიერ) წიგნს და მხოლოდ ერთ რამეზე დაწყდება გული. იმაზე, რომ ავტორს საკუთარი ხარჯები დასჭირდა ამ წიგნის გამოსაცემად.

**გულნარა ბაშარული**

# კიდევ ერთი პარტნიორი

ახლა, როდესაც საქართველო დაკარგული დამოუკიდებლობის აღდგენისკენ ისწრაფვის, ყოველი წარმატება, რომელიც სახელს მოუტანს ჩვენს სამშობლოს, უდიდეს მნიშვნელობას იძენს.

25-26 აპრილს პარიზში ჩატარდა ტექნიკურ ასოციაციათა საერთაშორისო კავშირის სხდომა. ამ კავშირში 40-მდე საერთაშორისო ორგანიზაცია და ფედერაციაა გაერთიანებული... მათ შორის აღსანიშნავია — მექანიკოსთა საერთაშორისო კავშირი, ენერგეტიკოსთა მსოფლიო კონგრესი, ავტომატური მართვის საერთაშორისო ფედერაცია, გაზის საერთაშორისო კავშირი და სხვა.

კავშირის სხდომაზე საქართველოსთვის მეტად მნიშვნელოვანი საკითხი გადაწყდა — საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი კავშირის ორმოცდამეერთე ნამდვილი წევრი გახდა. სურვილი ამ კავშირის წევრობისა ძალზე ბევრ უმაღლეს სასწავლებელს ჰქონდა, მაგრამ გენერალურმა ასამბლეამ უპირატესობა ტექნიკურ უნივერსიტეტს მიანიჭა. ასეთი გადაწყვეტილება განაპირობა იმ დამსახურებამ, რომელიც ტექნიკურ უნივერსიტეტს მეცნიერებასა და კვალიფიცირებულ სპეციალისტების აღზრდის საქმეში აქვს და იმანაც, რომ უნივერსიტეტის საქმიანობა არ შემოიფარგლება მხოლოდ სწავლითა და მეცნიერული მუშაობით, მას აქვს არა ერთი ერთობლივი საწარმო, საინჟინრო და საპროექტო ცენტრი, რომელთა ნაყოფიერი მუშაობა მაღალშედეგიანობით ხასიათდება.

საგულისხმოა ისიც, რომ ლოძის უმაღლესი სასწავლებელი და საფრანგეთის ერთ-ერთი უნივერსიტეტი ამ კავშირში მხოლოდ წევრკორესპონდენტად მიიღეს.

კავშირის წევრობა დიდ პრივილეგიებს გვპირდება. მის წევრებს უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ ყველა კონგრესში, მოიპოვონ ტექნიკური ინფორმაცია მსოფლიოს ყველა კუთხიდან, უფლება აქვთ მოიწვიონ და ითანამშრომლონ საერთაშორისო ექსპერტებთან. ეჭვსგარეშეა, რომ ასეთ პირობებში ტექნიკური უნივერსიტეტი მეტად გაუთქვამს სახელს საქართველოს.

27 აპრილს, ორდღიანი სხდომის შემდეგ ჩატარებულ ინფორმაციის დღეზე ბატონმა გოჩა ჩოგოვაძემ წაიკითხა მოხსენება „საქართველო და მისი ეკონომიკა".

ჩემი მოხსენების დედააზრი, — გვითხრა საუბრისას ბატონმა გოჩამ, — ის იყო, რომ ფართო საზოგადოებისთვის გამეცნო, თუ როგორ ცხოვრობს დღეს საქართველო, როგორია მისი დღევანდელი პოტენციური შესაძლებლობა. ბატონმა გოჩამ აღნიშნა, ისიც რომ მათი სურვილია, უფრო ფართოდ გაშალონ ამგვარი თანამშრომლობა..

სიტყვას საქმე უხდებაო და აი, 4 მაისს, დაიდო ხელშეკრულება კარლსრუეს უმაღლეს სასწავლებელთან. სასიამოვნოა, რომ ხელშეკრულება ითვალისწინებს მოსწავლეთა და მასწავლებელთა გაცვლა-გამოცვლას.

ასე რომ, ინგლისისა და ინდოეთის, იტალიისა და პოლონეთის, გერმანიისა და საფრანგეთის ქვეყნების უმაღლეს სასწავლებლებთან კავშირის მქონე საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს კიდევ ერთი პარტნიორი შეემატა.

**კოტე ნიშნიანიძე**

**ქაიხოსრო** ჩოლოყაშვილის წინაპრები ისევე, როგორც თვით ქაიხოსრო, გამოირჩეოდნენ სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარულით, რაც განაპირობებდა ამთსავე უსაზღვრო სიძულვილს დამპყრობლების მიმართ. ისინი უკომპრომისოდ იბრძოდნენ სამშობლოს თავისუფლებისათვის და მზად იყვნენ სიცოცხლეც გაეწირათ მისთვის.

ჩოლოყაშვილები ეკუთვნოდნენ ქართველი თავადების ცნობილ საგვარეულოს, რომელიც ახლო ნათესაურ კავშირში იმყოფებოდა ქართველ სამეფო ოჯახთან, თვით ერეკლე მეორესთან და გიორგი XII-სთან. ჩოლოყაშვილების ქალებს ხშირად თხოულობდნენ ქართველ მეფეთა შთამომავალნი და პირიქით, ჩოლოყაშვილებიც ირთავდნენ სამეფო საგვარეულოს ქალებს. მაგალითად, დურმიშხან ჩოლოყაშვილის ქალიშვილი ეკატერინე მისთხოვდა გიორგი XII-ის ვაჟს ბაგრატ ბატონიშვილს. მათ შეეძინათ შვილები ალექსანდრე, ბარბარე, გიორგი, ნიკოლოზ და დავით, რომელსაც ეს სახელი მშობლებმა უწოდეს საქართველოს ტახტის უკანასკნელი მემკვიდრის დავით ბაგრატიონის პატივსაცემად. დავითი ცხოვრობდა 1819-1888 წწ. ალექსანდრე და ბარბარე დაუკრძალავთ სვეტიცხოვლის ტაძარში. მათი დედა ეკატერინე ჩოლოყაშვილი-ბაგრატიონისა კი გარდაცვლილა პეტერბურგს 1831 წელს.

საქართველოს უკანასკნელი მეფის გიორგი XII-ის ქალიშვილი რიფსიმე გათხოვილი იყო დიმიტრი ჩოლოყაშვილზე. მათი სამი ვაჟი დავით, ალექსანდრე და ზაქარია თავგანწირულად იბრძოდნენ საქართველოს თავისუფლებისათვის. სამივენი ორგანიზატორები და აქტიური მონაწილენი იყვნენ 1832 წლის შეთქმულებისა და, შეიძლება ითქვას, რომ ისინი შეეწირენ კიდეც ამ შეთქმულების საქმეს.

საბჭოთა კავშირის სამხედრო არქივში ჩვენ მივაკვლიეთ ქართველი თავადების ასლან, ლუარსაბ მამუკა, ქაიხოსრო და იაკობ ორბელიანების, აგრეთვე დავით ციციშვილის, ნიკოლოზ თარხნიშვილის, აზნაურ შაქრო ქურდიანიძისა და თავად დავით ჩოლოყაშვილის საქმეს (სსრკ სამხედრო არქივის ფონდი 801, აღწერილობა № 89, საქმე 93, № 1355), სადანაც ირკვევა, რომ აღნიშნული თავადები აქეზებდნენ გლეხებს, არ დამორჩილებოდნენ მთავრობას, არ გაეგზავნათ შვილები რუსეთის სამხედრო სამსახურში. ამის გამო პასუხისგებაში იყო მიცემული არა მხოლოდ აღნიშნული თავადები, არამედ გლეხებიც. მკაცრი იყო სასჯელი გამოტანილი გლეხების მიმართ. მათგან 30-ს მიესაჯა „სხვადასხვა რიგის სასჯელი", რაც გულისხმობდა საჯაროდ 100 როზგის დაკრას. როზგებისაგან გაათავისუფლეს მხოლოდ 60 წელს მიღწეულები, სამაგიეროდ მათ მიესაჯათ სხვადასხვა ვადით პატიმრობა მძიმე ფიზიკური სამუშაოების შესრულებით.

აღნიშნული საქმის გამოძიება დაწყებულა 1829 წელს და დამთავრებულა 1832 წელს დეკემბერში.

ყოველივე ეს ნიშნავს იმას, რომ 1832 წლის შეთქმულებას საფუძველი ეყრებოდა გაცილებით ადრე და რომ ის არ წარმოადგენდა მხოლოდ „ერთი მუჭა თავადაზნაურების შეთქმულებას", არამედ მას ღრმად ჰქონდა გადგმული ფესვები ხალხის, განსაკუთრებით გლეხობის ფართო ფენებში.

აღნიშნულ დოკუმენტში ჩვენი ყურადღება მიიქცია განსაკუთრებით დავით ჩოლოყაშვილის საქმემ. დავით დიმიტრის ძე ჩოლოყაშვილი 1832 წელს ყოფილა 24 წლისა. 1831 წლის 14 მაისს მას გაუტაცია 2 ბატალიონი ჯარის ქარეთვე ნახიჩევანში მდგარი ნავარი ბატალიონის ხელფასი, ეპოლეტები, ამანათები, საჩუქრები, ჯილდოები, გადასულა სპარსეთში ალექსანდრე ბატონიშვილთან და მისთვის გადაუცია აღნიშნული თანხა. გაანგარიშებულია, რომ ეს თანხა შეადგენდა 2,5 იმპერიალს, ანუ *13.590 მანეთს ასიგნაციით, მაგრამ ისინი გასცა სპარსეთის უფლისწულმა აბას მირზამ. რუსებმა გამოყვეს ჯარის ნაწილი მათ დასაპატიმრებლად. ალექსანდრე და დავითი მამაცურად და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქაიხოსრო ჩოლოყაშვილის წინაპრები

ხვედრიან ჯარს, მაგრამ რუსებს ისევ სპარსელები დახმარებიან, თორემ შესაძლებელია დავითსა და ალექსანდრეს გაემარჯვათ კიდეც. დაპატიმრებული დავითი ჯერ ნახიჩევანში გადმოუყვანიათ და შემდეგ მეტეხის ციხეში გამოუმწყვდევიათ, ხოლო ალექსანდრეს აღნიშნული თანხა უკან დაუბრუნებია.

დავით ჩოლოყაშვილის საქმის გამოძიება დასრულებულა 1832 წლის მარტში. სასამართლოს გადაწყვეტილებით მას მიესაჯა ჩამოხრჩობა, ქონების კონფისკაცია და წოდების, თავადობის ჩამორთმევა. მაგრამ აბას მირზას შუამდგომლობით მას თავადობა არ ჩამოერთვა. ქონების კონფისკაცია და ხელფასის დაკავება კი განახორციელეს. ამ თანხით აანაზღაურეს ის ხარჯები, რაც მის დაპატიმრებას დასჭირდა. ქონება-ჩამორთმეული დავითი გაიგზავნა ერთ-ერთ ფეხოსან რუსულ პოლკში.

როგორც ცნობილია, შეთქმულებს ახლო და მჭიდრო კავშირი ჰქონდათ ალექსანდრე ბატონიშვილთან, რომელიც სპარსეთში იყო გადახვეწილი და იქიდან ცდილობდა დახმარებოდა აჯანყებულებს საქართველოს განთავისუფლების საქმეში. ეტყობა, აღნიშნული თანხაც ამისთვის იყო საჭირო. რაც შეეხება დავითს, ის უნდა იყოს შეთქმულების აქტიური მონაწილეების ზაქარია და ალექსანდრე ჩოლოყაშვილების ძმა.

მისი ძმები ალექსანდრე და დავით და მათი დედა რიფსიმე გიორგი XII-ის ქალიშვილი ცხოვრობენ 1811 წლიდან პეტერბურგში, უფრო სწორად რომ ვთქვათ, გადასახლებული არიან პეტერბურგში. მათ მჭიდრო ურთიერთობა აქვთ იქ მყოფ ბატონიშვილებთან ოქროპირთან, დიმიტრისთან და სხვ., რომლებიც მათ ბიძებად მოხვდებოდათ დედის მხრიდან. დიმიტრი ბატონიშვილიც აღნიშნავს, რომ ის კარგად იცნობს ჩოლოყაშვილებს, რადგან მათთან ერთად იზრდებოდა. (იხ. საქ. ც. ს. არქივის ფონდი 1457, რვეული XX. გვ. 3764, აგრეთვე გვ. 3860).

ჩოლოყაშვილები ახლო ნათესაურ კავშირში არიან ორბელიანებთანაც. როგორც ზაქარია დიმიტრის ძე ჩოლოყაშვილი აღნიშნავს, „ლუარსაბ ორბელიანი მისი ბიძაშვილია“ ს. დოდაშვილის ჩვენებით კი, „მას ყველაფერი შეთქმულების შესახებ შთააგონა ზაქარია ჩოლოყაშვილის ბიძამ ოქროპირ ბატონიშვილმა“.

ჩოლოყაშვილები ენათესავებიან ალ. ჭავჭავაძესაც, რადგან მათივე განცხადებით, თავად ალ. ჭავჭავაძეს მეუღლე ორბელიანის ქალი მათი ბიძაშვილია.

ჩოლოყაშვილები უაღრესად განათლებულნი არიან. მაგალითად ეკატერინე ჩოლოყაშვილის და ბაგრატ ბატონიშვილის ვაჟზე ნიკოლოზზე ს. დოდაშვილი ამბობს, რომ მან „უჩვენა მას ყოვლად ჭეშმარიტი მოძღვრება სიბრძნისათა“. ხოლო მკვლევარი გ. გოზალიშვილი, რომელმაც გამოაქვეყნა 1832 წლის შეთქმულების მასალები, ზაქარია ჩოლოყაშვილის ძმის შესახებ ამბობს, რომ „როგორც ვხედავთ, ჩოლოყაშვილი დეკაბრისტების საქმეებთან დაახლოვებული ყოფილა“. (გ. გოზალიშვილი, 1832 წლის შეთქმულება, ტ.1, გვ. 63, აგრეთვე საქ. ც. ს. ა. ფონდი 1457, XX, 3894).

1832 წლის შეთქმულებაში, რომელიც მიზნად ისახავდა საქართველოს განთავისუფლებას, მონაწილეობდა ჩოლოყაშვილების თითქმის მთელი საგვარეულო. ისინი როგორც შეთქმულნი, იყვნენ პრინციპულნი, თანმიმდევარნი და შეთქმულების ბოლომდე ერთგულნი. შეთქმულებაში მონაწილეობდნენ პოდპორუჩიკი ალექსანდრე ჩოლოყაევი, პორუჩიკი ზაქარია ჩოლოყაევი, პორუჩიკი ლუარსაბ ჩოლოყაევი, მაიორი ივანე ჩოლოყაევი, მათ თანაუგრძნობდნენ თადია და აბელ ჩოლოყაევები.

ამათგან ერთ-ერთი აქტიური მონაწილეა ალექსანდრე, რომელიც იყო ავსტრიის იმპერატორის საგრენადორო პოლკის პოდპორუჩიკი. 1833 წელს 29 წლისაა, გადამდგარია სამხედრო სამსახურიდან. იგი აჩვენებს, რომ პეტერბურგში ესწრებოდა და მონაწილეობდა იმ საუბრებში, რომელიც იმართებოდა მისი ბიძის, დიმიტრი ბატონიშვილის ბინაზე. ეს საუბრები ეხებოდა საქართველოს განთავისუფლების საქმეს. ეს ფაქტი დაადასტურა თვით დიმიტრი ბატონიშვილმაც (ფ. 1457, რვ. XX, გვ. 3764).

საგამომძიებლო კომისიას არ გამორჩენია მხედველობიდან მისი აქტიური მონაწილეობა შეთქმულებაში, როდესაც წერდა: „ალექსანდრე ჩოლოყაშვილი უნდა ყოფილიყო ერთი მხურვალე მონაწილეთაგანი დიმიტრი ბატონიშვილის... აღმაშფოთებელი საუბრებისა და მას უნდა სცოდნოდა შეთქმულების ჩასახვა მის უმაღლეს სტადიაში“ (რვ. XX, გვ. 3894).

ალ. ჩოლოყაშვილს ახლო ურთიერთობა ჰქონდა აგრეთვე ს. დოდაშვილთან, რომელიც აგრეთვე შეთქმულების ერთ-ერთი მთავარი მონაწილე იყო. ს. დოდაშვილის ჩვენებით ის და ალ. ჩოლოყაშვილი 1827 წელს ერთად გამომგზავრებულან პეტერბურგიდან თბილისისაკენ. იგი თან ახლდა დოდაშვილს აგრეთვე ხარკოვში, სადაც ხარკოვის უნივერსიტეტის რექტორმა ივანე იაკობის ძე კრონბერგმა ის დიდის პატივით მიიღო. ამის შესახებ ს. დოდაშვილი აღნიშნავს: „თავადი ალექსანდრე რიფსიმასიც მუნ მყოფობდა“. „რიფსიმასში“ იგულისხმება ბატონიშვილი რიფსიმე, რომლის ვაჟიც იყო ალექსანდრე. ალექსანდრე მიყვებოდა დოდაშვილს „გარიაჩევოდსკამდე“ (იგ. „პიატიგორსკი“), სადაც იგი სამკურნალოდ შეჩერებულა. თბილისში ჩამოსული იგი ს. დოდაშვილთან ცხოვრობდა. თბილისიდან ის კახეთში გამგზავრებულა და იქიდან დაბრუნებულა პეტერბურგს. ს. დოდაშვილი აჩვენებს, რომ ა: ჩოლოყაშვილი ახლო იყო დიმიტრი ბატონიშვილთან და ს. რაზმაძესთან და რომ ისინი ყველანი „ოცნებობდნენ თავისუფლებაზე“ (ფ. 1457, რვ. XII, გვ. 2154-55).



დავით ჩოლოყაშვილი

თვით ალ. ჩოლოყაშვილი ს. დოდაშვილს ხუმრობით „კაზიონი“-ს უწოდებდა, რადგან ს. დოდაშვილი ეკუთვნოდა სახელმწიფო სახაზინო გლეხებს.

როგორც ვხედავთ, ალ. ჩოლოყაშვილი უკვე 1827 წელს მკურნალობს. მისი ავადმყოფობა კიდევ უფრო გაძლიერდა პატიმრობის პერიოდში 1832-1833 წწ. მის ავადმყოფობას ადასტურებენ მისი ძმა ზაქარია, იარალი შანშიაშვილი და საგამომძიებლო კომისიაც კი. როგორც ჩანს, პეტერბურგში მყოფ ზოგიერთ პატიმართა გადაყვანა საჭირო გამხდარა თბილისში მყოფ პატიმრებთან დასაპირისპირებლად. მაგრამ თავად დიმიტრის (იგ. დიმიტრი ბატონიშვილი) და ალ. ჩოლოყაშვილის გადმოყვანაზე საგამომძიებლო კომისიას თავი შეუკავებია შემდეგი მოტივით: „თავადი დიმიტრი და ჩოლოყაევი ისე არიან დაავადებული, რომ მათი გამგზავრება გამოიწვევს მათს დაუძლურებას და შესაძლებელია სიკვდილსაც. ამიტომ ისინი დატოვებული არიან სანკტ-პეტერბურგში“ (რვ. XXIX, გვ. 34).

ალ. ჩოლოყაშვილი გარდაცვლილა 1833 წ., შესაძლებელია, გამოძიების დამთავრების შემდეგ. როგორც ჩანს, მისი სიკვდილი დააჩქარა პატიმრობამ.

შეთქმულების აქტიური მონაწილე და ორგანიზატორი იყო მისი ძმაც ზაქარია დიმიტრის ძე ჩოლოყაშვილი, რომელიც დედასთან რიფსიმე გიორგის ასულთან ერთად 1811 წლიდან ცხოვრობდა პეტერბურგში, უფრო სწორად რომ ვთქვათ, გადმოსახლებული იყო პეტერბურგში. დედის თხოვნით ის ჩაურიცხავთ პაჟთა კორპუსში. 1819 წელს მიიღო პრაპორშჩიკის ჩინი და ჩაირიცხა ავსტრიის იმპერატორის გრენადერთა პოლკში. 1820 წელს მიიღო პოდპორუჩიკის ჩინი და გადაყვანილ იქნა სემიონოვის პოლკში. მონაწილეობდა მრავალ ბრძოლაში, ოსმალების წინააღმდეგ, ციხე-სიმაგრე ვარნის აღებაში, ვარშავის აღებაში და სხვ. მიღებული ჰქონია მრავალი ორდენი და ჯილდო. შეთქმულების პერიოდში ის გადამდგარია სამხედრო სამსახურიდან და ცხოვრობს პენსიაზე 1000 მანეთით წელიწადში. 1832 წელს იღებს შვებულებას და მოდის თბილისში, როგორც ის აღნიშნავს, მიწების მისაღებად თავისი ნათესავებისაგან ზაალ, მიხეილ და ქაიხოსრო ჩოლოყაშვილებისაგან სოფ. მატანში. ამავე დროს ის განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენს ქაიხოსრო ჩოლოყაშვილის მიმართ, რომლის მამა ომანი ახალი გარდაცვლილი უნდა იყოს. მას სურდა ქაიხოსრო წაეყვანა თავისთან პეტერბურგში და სადმე სამსახურში მოეწყო.

თბილისში ჩამოსული ზაქარია მთელის გატაცებით ებმება შეთქმულებაში. შეთქმულების შესახებ მას უნდა სცოდნოდა ჯერ კიდევ პეტერბურგში თავისი ბიძებისაგან. საქართველოში კი ამის შესახებ მას აცნობეს ალ. ორბელიანმა და ელიზბარ ერისთავმა. მას შემდეგ, რაც მან გაიგო ალ. ჭავჭავაძის დადებითი დამოკიდებულება შეთქმულებასთან, ის აქტიურად ჩაება შეთქმულებაში. შეთქმულნი მას ანდობდნენ საიდუმლოს ყველა თავისი მნიშვნელოვანი ღონისძიების შესახებ. მაგალითად, მან იცოდა, რომ ოქროპირ ბატონიშვილი მიემგზავრებოდა საფრანგეთში იქიდან ჯარის ჩამოსაყვანად, რომ ამ მიზნით მან კავშირი დაამყარა საფრანგეთის საელჩოს თანამშრომელთან ლეტელიესთან; იასე ფალავანდიშვილმა მას გაანდო გეგმა აჯანყების პირველი ღამის შესახებ. მართალია, ზოგჯერ ის ეჭვობდა შეთქმულების წარმატებით დამთავრებაზე, რადგან შეთქმულებს არ ჰყავდათ ჯარის საკმარისი რაოდენობა და არც თანხები, მაგრამ ძირითადად მაინც ოპტიმისტურად იყო განწყობილი.

გიორგი ერისთავის ჩვენებით: „ელიზბარ ერისთავმა, ზაქარია ჩოლოყაშვილმა და ალ. ჭავჭავაძემ შეიმუშავეს აჯანყების გეგმა“. ალ ზაქარია ჩოლოყაშვილს გარდუვალად მიაჩნდა საქართველოს გამოყოფა რუსეთისაგან. მას ხშირად უთქვამს: „საქართველო რუსეთისაგან ბუნების მიერ არის გამოყოფილი. კავკასიონის მთა ამის მოწმეა. ნუთუ რუსებმა არ იციან, რომ საქართველო სამუდამოდ რუსეთისაგან დამოკიდებული არ დარჩება“. (VII, 1327-1339). ზაქ. ჩოლოყაშვილის აზრით, „საქართველოში მმართველობა უნდა ხორციელდებოდეს მხოლოდ ქართული კანონების შესაბამისად“ (XXIII, 4650).

ზაქარია ჩოლოყაშვილი, როგორც სამხედრო საქმეებში კარგად ჩახედული და გამოცდილი, მითითებებს აძლევდა შეთქმულთ. ელიზბარ ერისთავი აჩვენებს საგამომძიებლო კომისიას, რომ „ჩოლოყაევმა ფანქრით აღნიშნა ქაღალდზე საქართველოში განლაგებული პოლკების ადგილ-სამყოფელი და ლაპარაკობდა, თუ როგორ უნდა გვემოქმედა, რომ ჯარისათვის არ მიგვეცა საშუალება ერთად შეყრილიყო“ (XII, 2146). ხოლო ჯარის თავმოყრის წინააღმდეგი იმიტომ იყო, რომ თავისი გამოცდილებიდან იცოდა, რომ რუსი ჯარისკაცი მხოლოდ მაშინ იბრძოდა მამაცად, თუ სხვებთან ერთად იყო. მისივე რჩევით მოხდა, რომ აჯანყების თარიღი 20 ნოემბრიდან გადატანილ იქნა 25 ნოემბრისათვის და დაუკავშირდა არჩევნებს. რადგან მისი დაკვირვებით ამ დროს საქართველოში ცოტა იყო რუსეთის ჯარი და გარდა ამისა, კორპუსის უფროსიც განსაცდელში იყო (VII, 1289-1298).

ზაქარია ჩოლოყაშვილი ზოგიერთ შემთხვევაში აძლევდა დავალებებს შეთქმულებს. მაგალითად, ს. დოდაშვილისათვის მას კახეთის აჯანყება დაუვალებია. რაზეც ს. დოდაშვილს უარი უთქვამს. საერთოდ, ს. დოდაშვილთან ის ახლოს იყო იმდენად, რომ ერთხელ მისთვის ფულიც კი უსესხია ქირის გადასახდელად. შეთქმულებს მისთვის აჯანყების შემთხვევაში მიუნდიათ საპასუხისმგებლო უბანი. ისა და გიორგი ერისთავი 200 კაცით „ყაზარმებზე იყვნენ დანიშნული“. (XI, 2628).

ზ. ჩოლოყაშვილი მოუწოდებდა შეთქმულთ ემოქმედათ უკომპრომისოდ, მკაცრად. ი. ფალავანდიშვილის ჩვენების მიხედვით, მას უთქვამს, „მოღალატენი შეიძლება მოვსპოთ“ (VI, 1016. 1019). ამასვე ადასტურებს ს. დოდაშვილი: „მოღალატენი მტკვარში გადავყაროთ“ — უთქვამს ზ. ჩოლოყაშვილს.

ზ. ჩოლოყაშვილი აგრესიულად ყოფილა განწყობილი თვით იმპერატორის მიმართ. მისივე განცხადებით: „ზანდახან ისეთ გულზე მოვდივარ, რომ მზად ვარ ხელმწიფეს ხმალი ვკრა, როცა ის ნევის გამზირზე დასეირნობს“ (III, 410-411, აგრეთვე, VI, 1016-1019).

ამიტომაც იყო, რომ განაჩენი, გამოტანილი მის მიმართ უაღრესად მკაცრი იყო. მისი საქმე საგამომძიებლო კომისიამ გადასცა სამხედრო სასამართლოს, რომელმაც მას მიუსაჯა ხელფეხის მოკვეთა, ქონების კონფისკაცია და თავადის წოდების ჩამორთმევა (XXI!, 75). მაგრამ სასჯელი შემდგომ შეუმსუბუქეს და დაკმაყოფილდნენ წოდების ჩამორთმევითა და ქონების კონფისკაციით, რის შემდეგ იგი გადაგზავნილ იქნა უბრალო ფეხოსნად ერთ-ერთ პოლკში.

რაც შეეხება მის ძმას, ალ. ჩოლოყაშვილს, ის დატოვეს „სასტიკი საიდუმლო მეთვალყურეობის ქვეშ“. შესაძლებელია, შედარებით მსუბუქი სასჯელი გამოწვეული იყო მისი მძიმე ავადმყოფობით. მართლაც, ის გარდაცვლილი უნდა იყოს 1833 წელს სწორედ გამოძიების დასრულების დროს.

საგამომძიებლო კომისიის დამოკიდებულება პატიმრების მიმართ იყო მკაცრი. ისინი გამომწყვდეული ჰყავდათ კაზარმებში. ის პატიმრები, რომლებიც გამოტყდნენ და რომელთაგან აღარ ჰყო მოსალოდნელი რაიმე ახალი და მნიშვნელოვანი ცნობის მიღება მოათავსეს ერთად, ხოლო რომელთა ძიება არ იყო დასრულებული, ისინი ცალ-ცალკე იყვნენ გამოკეტილნი და ამავე დროს ეკრძალებოდათ ურთიერთშორის რაიმე კავშირის დამყარება. განსაკუთრებით ძლიერი მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა პატიმარი ალ. ჭავჭავაძე, რომელსაც ამავე დროს „მიჩენილი ყავდა მკაცრი გუშაგები“.

ბარონი როზენი მოითხოვდა დამნაშავეთა „საჯარო და საზეიმო ვითარებაში გასამართლებას, რათა ქართველებისათვის ეჩვენებინათ „მთავრობის ძალა“, რაც მათთვის ჭკუის სასწავლებელი და გამაფრთხილებელი მაგალითი იქნებოდა“.

შეთქმულებას მეტ-ნაკლებად თანაუგრძნობდნენ დანარჩენი ჩოლოყაშვილებიც. თვითეული მათგანი ოცნებობდა საქართველოს განთავისუფლებასა და რუსების გაძევებაზე საქართველოდან.

შეთქმულების ერთ-ერთი მონაწილე იყო აგრეთვე აბელ ჩოლოყაშვილი რომელიც აღშფოთებული იყო რუსების ქედმაღლური დამოკიდებულებით ქართველებისადმი. მას არაერთხელ უთქვამს: „როგორ არ უნდა ვწუხდე, რომ ჩვენ გვთვლიან გაუნათლებელ უვიც ადამიანებად და მიგვიჩნევენ ყველაზე უარესად. უმჯობესია სიკვდილი, ვიდრე ცხოვრება ქვეყანაში, სადაც რუსები უკეთესად ითვლებიან“ (იხ. გ. გოზალიშვილი. 1832 წლის შეთქმულება, ტ. III, გვ. 177). იგი აღშფოთებული იყო იმითაც, რომ ამ პირობებში სიმართლის თქმა შეუძლებელი იყო.

მაგრამ აბელ ჩოლოყაშვილი არა მხოლოდ სიტყვით მოქმედებდა, არამედ საქმითაც, იგი შთააგონებდა ფშავ-ხევსურებს „მთავრობისადმი დაუმორჩილებლობას“ და მათთვის თოფის წამლის ფულიც კი გაუგზავნია.

შეთქმულების შესახებ სავსებით ინფორმირებული იყო თადია ჩოლოყაშვილი, თუმცა ის ისე აქტიურად არ მონაწილეობდა შეთქმულებაში, როგორც დანარჩენი ჩოლოყაშვილები. საგამომძიებლო კომისიის გადაწყვეტილებით „მე-14 კლასის თავადი თადია ჩოლოყაევი დარჩეს სასტიკი მეთვალყურეობის ქვეშ“ (XXXIX, 40).

საგამომძიებლო კომისია აწარმოებდა აგრეთვე მაიორ ივანე ჩოლოყაშვილის და პორუჩიკ ლუარსაბ ჩოლოყაშვილის დაკითხვას. თავადი ივანე ჩოლოყაშვილი იყო მეფე ერეკლეს ასულის ეკატერინეს შვილი. აჯანყების პერიოდში ის სამსახურიდან გადამდგარია მაიორის ჩინით. საგამომძიებლო კომისიამ დაადგინა, რომ ის სხვა ჩოლოყაშვილებთან ერთად მონაწილეობდა დიმიტრი ბატონიშვილის ბინაზე გამართულ „აღმაშფოთებელ საუბრებში“. საგამომძიებლო კომისია დაკმაყოფილდა მის მიმართ „სასტიკი მეთვალყურეობის“ დაწესებით.

როგორც ვხედავთ, მეფის ხელისუფლება სასტიკად გაუსწორდა მის წინააღმდეგ მებრძოლ თავისუფლების მოყვარე ჩოლოყაშვილების გვარს, ჩამოართვა მათ წოდება, ქონება, გაგზავნა უბრალო ფეხოსნებად ჯარის მოქმედ ნაწილებში, მაგრამ ვერ გატეხა მათი სიმამაცე და ნებისყოფა, ვაჟკაცური შემართება, სამშობლოს მგზნებარე სიყვარული და შეუნელებელი სიძულვილი დამპყრობლებისა. ჩოლოყაშვილებს ახასიათებდათ უკომპრომისო და თანმიმდევრული ბრძოლა ჩაგვრის ყოველგვარი ფორმის წინააღმდეგ, ისინი ურყევად და განუხრელად მისდევდნენ თავის პრინციპებს და საშიშროების წინაშე არასოდეს არ იხრიდნენ ქედს. მართალია, ჩაახშეს მათი ბრძოლა, მაგრამ დარჩა მათი საქმე და იდეები. მე-20 საუკუნეში მათი დროშა აიტაცა მათმა შთამომავალმა და მემკვიდრემ ქაიხოსრო ჩოლოყაშვილმა, რომელსაც გამოყვა თავისი წინაპრების ყველა ზემოხსენებული თვისება და რომელიც ისევე უკომპრომისოდ იბრძოდა მტრების წინააღმდეგ, როგორც მისი წინაპრები.

თამარ კუკავა,
ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

### საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მრგვალი მაგიდის პოლიტიკურ ორგანიზაციათა და წევრთა

# მიმართვა

## ქართველი ერისადმი და მსოფლიო საზოგადოებისადმი

პოლიტიკური პროცესები, რომლებიც საქართველოში მიმდინარეობდა, იძლევა იმის გარანტიას, რომ ახლო მომავალში საქართველო აღიდგენს სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას და აღსრულდება ქართველი ერის ნება.

დღეს-დღეობით ერთ-ერთი ყველაზე დიდი დაბრკოლება ამ გზაზე არის ცენტრის მიერ ინსპირებული დემოგრაფიული ექსპანსიის გაძლიერება, რომელიც მთელი სიმძაფრით აისახა ე. წ. „თურქი მესხების" საქართველოში რეპატრიაციის საკითხის დაყენებით. ქართველმა ერმა ერთსულოვნად და საყოველთაოდ გამოხატა თავისი დამოკიდებულება ამ პრობლემისადმი — მისი სრული გადაჭრა დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის პრეროგატივა უნდა იყოს. დღეს-დღეობით მისი მოწესრიგების არავითარი პირობები არ არსებობს. მიუხედავად ამისა, ცენტრი აგრძელებს თავისი გეგმების მიზანდასახულ განხორციელებას, რაც აისახა ქართველი ერის საწინააღმდეგო, მადისკრიმინირებელ დადგენილებაში, რომელიც მიიღო საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს ნაციონალური პოლიტიკის და ეროვნებათაშორისო ურთიერთობის ე. წ. კომისიამ. აღნიშნული დადგენილება ფაქტობრივად ხელ-ფეხს უხსნის ნახევარ მილიონამდე თურქს საქართველოს ტერიტორიის უკანონოდ დაკავებაში.

საბჭოთა კავშირის პრეზიდენტის სახელზე გაგზავნილ განცხადებაში, რომელსაც ხელს აწერენ ორგანიზაცია „ვატანი"-ს ლიდერები (რ. სარვაროვი, რ. საიდოვი და სხვანი), ულტიმატუმის სახით დაყენებულია მოთხოვნა, რომ თუ აღნიშნული დადგენილების მუხლები არ იქნება დაკმაყოფილებული ა. წ. 1 მაისამდე, საბჭოთა თურქები იწყებენ მთელი შემადგენლობით „მშვიდობიან" ტოტალურ სვლას საქართველოსკენ. თუ რას უქადის ამ ურდოების შემოჭრა საქართველოს ძნელი წარმოსადგენი არაა. როგორც ახლახანს ჩვენთვის გახდა ცნობილი, ამ მუქარის აღსრულება უახლოეს ხანშია მოსალოდნელი. ე. წ. „თურქ-მესხთა" ძირითადი „არგუმენტია" ის, რომ, თითქოს, მესხეთი არის მათი ისტორიული სამშობლო. ჩვენ ვაცხადებთ, რომ თურქთა ისტორიული სამშობლო თურქეთია და არა მესხეთი, რომ მესხეთში მათი დამკვიდრება იყო ოკუპაციის შედეგი, ამდენად, ეს მოსახლეობა მუდამ უკანონოდ იყო ამ მხარეში. სსრკ მთავრობამ უკანონოდ მიიჩნია დეპორტირებულ ვოლგისპირეთის გერმანელთა მოთხოვნა შუა აზიიდან კვლავ ვოლგისპირეთში დაბრუნებისა, თანაც განმარტა, რომ გერმანელთა ისტორიული სამშობლო გერმანიაა და არა ვოლგისპირეთი. ასევე უნდა განვაცხადოთ ჩვენ, რომ უკანონოა მესხეთის გამოცხადება თურქთა ისტორიულ სამშობლოდ.

ამ ვითარების გათვალისწინებით ყოვლად გაუმართლებლად მიგვაჩნია საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების წაყრუება და დუმილი ამ საჭირბოროტო საკითხთან დაკავშირებით.

მრგვალი მაგიდის წევრი ორგანიზაციები და მასში შემავალი პიროვნებები კატეგორიულად მოითხოვენ საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების მხრიდან:

1. ოფიციალურად იქნეს აღიარებული და მიეცეს პოლიტიკური შეფასება ეროვნებათშორისო კომისიის აღნიშნულ დადგენილებას.

2. დაგმობილ იქნეს საქართველოს საზოგადოებრიობის გვერდის ავლით მოსკოვსა და ანკარას შორის არსებული მოლაპარაკებები ამ საკითხთან დაკავშირებით (იხ. თურქეთის პრეზიდენტისადმი გაგზავნილი წერილი).

3. კატეგორიულად მოეთხოვოს საკავშირო და რესპუბლიკურ მთავრობებს, არ დაუშვან თურქთა მრავალათასიანი არმიის თავისუფალი გადაადგილება მათსავე ტერიტორიაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლო შედეგების მთელი პასუხისმგებლობა დაეკისრება საკავშირო მთავრობას.

ამ მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა და მასში შემავალი ყველა პოლიტიკური ორგანიზაციის მიერ აღიქმება, როგორც ღალატი ქართველი ერის სასიცოცხლო ინტერესებისადმი. ამ შემთხვევაში საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა მიმართავს პოლიტიკური ბრძოლის უკიდურეს ფორმას — მოუწოდებს ქართველ ერს სრული ორგანიზებული დაუმორჩილებლობისაკენ.

ჩვენი ღრმა რწმენით, მრავალტანჯული ქართველი ერი ამ ექსტრემალურ ვითარებაშიც გამოიჩენს მაღალ ეროვნულ, მოქალაქეობრივ და პოლიტიკურ პასუხისმგებლობას მოსალოდნელი არნახული საფრთხის თავიდან ასაცილებლად.

ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი.

**საქართველოს ჰელსინკის კავშირი**

**საქართველოს მონარქისტული (კონსერვატიული) პარტია**

**წმინდა ილია მართლის საზოგადოება**

**ხრულიად საქართველოს მერაბ კოსტავას საზოგადოება**

**მრჩეველთა (ექსპერტთა) ჯგუფების საკოორდინაციო კოლეგიის სახელით, მრგვალი მაგიდის მუდმივი წევრები: თენგიზ სიგუა, ვახტანგ ბახტაძე, თენგიზ დიხამინჯია, გიზო კორძაძე, ალეკო მელაძე, ზვიად ბოკუჩავა, ნოდარ იმნაძე, არკადი მარკოზია, გურამ პეტრიაშვილი, გიორგი ხავთასი.**

**თბილისი,**
**1990 წელი, 25 მაისი.**

# ПРЕЗИДЕНТУ ТУРЦИИ ТУРГУТУ ОЗАЛУ

г. Москва,
20.04.90 г.
№ 49 т. м.

Уважаемый Тургут Озал!

Каждый человек, тем более целая нация, должен бороться за самосохранение, должен защитить честь и достоинства нации, какой бы она ни была — большой или малой, иначе исчезнет бесследно.

Наш народ — месхетинские турки — неустанно борется по силе возможности, не нарушая Государственного Закона, за восстановление исторической справедливости и возвращение на свою родину предков.

До 1988 года, кроме официальных органов, в Советском Союзе никто не знал, что из Месхет-Джавахети были высланы в 1944 году турки. Они существуют и требуют восстановления попранных прав.

Благодаря Чингизу Айтматову — писателю века — 4 апреля 1988 года через газету «Известия» советская общественность узнала, что есть такая народность.

Социально-правовая незащищенность нашего народа привела к ферганской, а затем и ташкентской трагедиям. Сегодня весь мир знает, что из числа турок — 74 тысячи беженцев. Они разбросаны по всему Союзу и стоят на грани исчезновения как этнос.

Представителям народа было отрадно услышать на консультативной встрече 28 марта 1990 года в Кремле из уст председателя Национальной Палаты Верховного Совета СССР тов. Нишанова Р. Н. о том, что Вы как Президент обратились к Первому Президенту СССР тов. Горбачеву М. С. с предложением об оказании материальной помощи при устройстве турок на своей исторической родине.

Временный Организационный Комитет общества «ВАТАН» в лице своего народа благодарит Вас и в Вашем лице весь турецкий народ за признание и впредь нуждается в Вашей поддержке.

Ваше личное участие в судьбе людей, страдания которых обусловлены лишением исторической родины и нарушением элементарных человеческих прав, даст надежду народу, находящемуся в отчаянном положении.

Гуманность и благородство присуще всему цивилизованному человечеству.

С уважением к Вам

**Председатель Временного Организационного Комитета общества «ВАТАН»**
**Ю. САРВАРОВ.**
**Секретарь**
**Ш. ФАЗЛИЕВ.**




# ПРЕЗИДЕНТУ СССР ГОРБАЧЕВУ М. С.

### ОТ ПРЕДСТАВИТЕЛЕЙ ТУРКОВ-МЕСХИТИНЦЕВ, УЧАСТВОВАВШИХ В РАБОТЕ КОМИССИИ ПО НАЦИОНАЛЬНОЙ ПОЛИТИКЕ И МЕЖНАЦИОНАЛЬНЫМ ОТНОШЕНИЯМ

г. Москва
20.04.90 г.
№ 45-тм

ЗАЯВЛЯЕМ

Председатель палаты Совета Национальностей Верховного Совета СССР тов. Нишанов Р. Н. 28 марта 1990 года на заседании обещал, что решение вопроса турок-месхитинцев будет рассматриваться на сессии в палате Совета Национальностей Верховного Совета СССР 16 апреля 1990 года в 16 часов. Однако вопрос был передан в комиссию по национальной политике и межнациональным отношениям, которая состоялась 18—20 апреля. Комиссия пришла к выводу — передать решение комиссии в Палату национальностей Верховного Совета СССР.

Если до 1 мая 1990 года сессия Верховного Совета СССР не примет постановления, то нам не остается больше выхода, кроме мирного похода всем народом в Грузию. Другого выхода мы не видим, так как нас бесконечно обманывают.

**Юсуф Сарваров,**
**Рамиз Саидов,**
**Таштан Асланов,**
**Темур Турсунов,**
**Джават Кучиев,**
**Расатдин Расулов.**

# МИНИСТРУ ЗДРАВООХРАНЕНИЯ СССР тов. ДЕНИСОВУ И. Н.

г. Москва,
22.04.90 г.
№ 49 т. м.

Уважаемый Игорь Николаевич, на данный момент положение турко-месхетинского народа крайне тяжелое. Люди живут в нечеловеческих, антисанитарных условиях. После ферганских и ташкентских событий резко увеличилась смертность среди детей и пожилых, намного возросла численность болеющих сердечно-сосудистыми заболеваниями и заболеваниями, возникшими в результате изменения климатических условий. В местах переселения не везде оказывается медицинская помощь. Незащищенность и неуверенность в завтрашнем дне, постоянный страх и чувство унижения приводят к медленному и мучительному вымиранию целого народа.

Как Вам известно, народ принял решение: мирным походом, с хлебом и солью, массово идти к грузинскому народу, ибо в этом он видит единственный путь выживания и самосохранения.

В связи с этим ВОК общества «ВАТАН» просит Вас помочь народу в организации медицинской службы в походе.

**Председатель общества «ВАТАН»**
**Ю. САРВАРОВ.**
**Секретарь**
**Т. АСЛАНОВ.**

# ჩვენი ბულგარელი ნათელ-მირონი

ვინც თვალს ადევნებს სატირისა და იუმორის კლუბის, „ილიკოსა და ილარიონის" მუშაობას, უთუოდ ეცოდინება იმ საერთაშორისო კონტაქტების შესახებ, რომელიც კლუბს აქვს დამყარებული საზღვარგარეთელ კოლეგებთან. მაგრამ განსაკუთრებულად მჭიდრო ურთიერთობა აკავშირებს მას ბულგარეთის საქვეყნოდ აღიარებულ სატირისა და იუმორის სახლთან. შარშან ამ ქალაქში გამართულ საერთაშორისო ბიენალეში ჩვენი რესპუბლიკიდან მონაწილეობდნენ „ილიკოსა და ილარიონის" კლუბის ხელმძღვანელი ზურაბ ასკანელი და მსახიობი მამუკა კიკალეიშვილი, რომელმაც ამ ფორუმზე უმაღლესი ჯილდოც დაიმსახურა. ბიენალეს შესახებ ვრცლად დაიწერა ქართულ პრესაში და დღეს მხოლოდ ერთ ნიშანდობლივ ფაქტზე შევაჩერებთ თქვენს ყურადღებას: საქმე იმაში გახლავთ, რომ ბიენალე 1989 წლის მაისში გაიმართა და ბულგარეთის ორივე ქართველი სტუმარი თავის უპირველეს მოვალეობად თვლიდა 9 აპრილის შესახებ სიმართლე ჩაეტანა მსოფლიოს საზოგადოებისათვის.

იმხანად ბულგარეთში ჩვენში „უძრაობის" ხანად წოდებული პერიოდის ანალოგიური ვითარება სუფევდა და მასპინძლები არათუ მხოლოდ გაურბოდნენ ამ თემაზე საუბარს, არამედ თავიანთ პრობლემებზეც კი ვერ სძრავდნენ ხმას აგრე იოლად და უეცრად გამოჩნდა კაცი, რომელმაც სტუმრებს გარკვეული რისკის ფასადაც წარუდგინა მთელი ბულგარელი ხალხის ჭეშმარიტი სახე. თუმცა სჯობს მოვიტანოთ დასასრული ზურაბ ასკანელის წერილიდან „დაკარგული ღიმილის საძიებლად":

„...მე და მამუკა სიმბოლურ გამოსათხოვარ სუფრას ვუსხედით. ცოტა ხანში მოგვიახლოვდა ერთი ახალგაზრდა და მორიდებით დადო რამდენიმე ბოთლი ღვინო ჩვენს მაგიდაზე. გვთხოვა, თუ შეიძლებოდა თანამეინახეობა გაეწია ჩვენთვის. თამადა მამუკა იყო და დიდსულოვნად მიიღო სუფრის ახალი წევრი, რომელიც გაბროვოელი კარიკატურისტი ნიკოლაი რიჟდაშკი აღმოჩნდა. — მე პრესკონფერენციას ვესწრებოდი და თანაგრძნობის სათქმელად მოვედი თბილისური ტრაგედიის გამო — გვითხრა. დაღამებამდე ვისხედით ერთად. თუ რა სადღეგრძელოები ითქმებოდა იმ სუფრაზე, ჩვენს მკითხველს შესანიშნავად მოეხსენება და თავს არ შეგაწყენთ, მხოლოდ ერთზე შევაჩერებ თქვენს ყურადღებას, არაორდინალური ფინალის გამო: როდესაც თამადამ ჩვენი და ბულგარელების საერთო სალოცავების სადღეგრძელო დალია, ნიკოლაიმ დანანებით აღნიშნა — შენ ასეთ წმიდა საგანზე ლაპარაკობ და მე კი მონათლულიც არა ვარო... და ჩაშინ იყო, მამუკამ რომ „წმიდა ნინოს" ვერცხლის ჯვარი მოიხსნა და ნიკოლაის დაჰკიდა გულზე. ნიკოლაის ბავშვური აღტაცებით გაუბრწყინდა თვალები და დიდხანს გვართმევდა ხელს ორივეს. — იქვე გადაწყდა, რომ ეს სიმბოლური ნათლობა ოფიციალურსა და ნამდვილ სახეს მიიღებს თბილისში, სადაც საშობაოდ ჩამოვა ბულგარელი მხატვარი და მამუკა მას მონათლავს სიონის ეკლესიაში!"

მაგრამ მოგვიანებით ბულგარეთშიც დატრიალდა პოლიტიკური ქარბორია და საშობაოდ ველარ ჩამოვიდა საქართველოში ბულგარელი მხატვარი. იგი მხოლოდ ახლახანს გვესტუმრა და გაბროვოში დადებული პირობა ქართველ მეგობრებთან დანათესავებით განასრულა: წმიდა ნიკოლოზის ხსენების დღეს 22 მაისს, მამუკა კიკალეიშვილმა დავით ერისთავთან ერთად (კიდევ ერთი ნათესავი!) მონათლა ბულგარელი ნიკოლოზი — ნიკოლაი რიჟდაშკი, ხოლო ახლადმირონცხებულმა ნიკოლა[…] უკვე თავად მონათლა (ზურაბ გო[…]გინავასთან ერთად) თავისი თანა[…]მოსახელე — პატარა ნიკოლოზ[…] — ზურაბ ასკანელის ვაჟი.

რაც საქართველოში ჩამოვიდ[…] ჩვენი ახალი ნათესავი ხარბად ა[…]ის დაწაფებული ქართული კულ[…]ტურისა და ისტორიის საკითხებ[…] აინტერესებს ყველაფერი, რა[…] საქართველოს შეეხება — ძეგლე[…]ბი, ეკლესია-მონასტრები, პანთეო[…]ნები, მუზეუმები...

ვისაც ამ წერილით ინტერეს[…] აღვუძარით ნიკოლაი რიჟდაშკი[…] პიროვნების მიმართ, შეგვიძლი[…] ვაცნობოთ, რომ მათ საშუალე[…] აქვთ მხატვრის სახლში ნახონ მის[…] კარიკატურების პერსონალური მოფენა, რომელიც ერთ თვეს გა[…]ტანს. თუ როგორ შთაბეჭდილ[…]ბას მოახდენს სტუმრის ფილ[…]სოფიურ-შემეცნებითი კარიკატ[…]რული ხელოვნება, ამის შეფასე[…] ჩვენი მნახველებისათვის მიგვ[…]დვია.

**საკუთარი ინფორმაცი[…]**

# იან გილანი და თეთრი ჩოხა



...ოთხ საათს ველოდით ერევნიდან თბილისისაკენ ავტობუსით მომავალ იან გილანს და მის ჯგუფს. ველოდით ინტერესით, მოუთმენლად, მღელვარებით. და აი, ცისფერმა „იკარუსმა“ სვლა შეანელა. ჯერ „საქკონცერტის“ მესვეურთათვის კარგად ნაცნობი პოლონელი მეგობრები ჩამოვიდნენ, შემდეგ გილანის ჯგუფის მუსიკოსები, და ბოლოს, როგორც იქნა, ფანჯარასთან გამოჩნდა იანი. ჩამოდგა თუ არა ფეხი ქართულ მიწაზე, ორივე ხელი ფართოდ გაშალა: „მოგესალმებით, მშვენიერი მოგზაურობა იყო“. დაღლილობაც შევატყვეთ, მაგრამ თავს ვერ ვაპატიებდი ფოიეში მისი ყოფნის რამოდენიმე წუთი რომ არ გამომეყენებინა. ჩვეულებრივ, ასეთ შემთხვევაში ვარსკვლავები მეტად სიტყვაძუნწები არიან ხოლმე, მაგრამ მალე დავრწმუნდი, რომ იან გილანისათვის ეს სტერეოტიპი უცხოა.

— ბატონო გილან, მოხარულები ვართ, რომ დღეს იან გილანი საქართველოს სტუმარია. მით უფრო, რომ თქვენი ჩამოსვლა 26 მაისს დაუკავშირეთ.

— დიახ, მე ერთი უბრალო, ჩვეულებრივი მუსიკოსი ვარ, შესანიშნავი მომღერლები და ინსტრუმენტალისტები კი ჩემი მეგობრები არიან. სწორედ მათგან ვიცოდი, თუ რამ ვიცოდი თქვენი ქვეყნის შესახებ. როდესაც „ნაზარეთის“ წევრებმა შეიტყვეს, ჩემს საგასტროლო ტურნეში თბილისი შედიოდა, აღფრთოვანებით აკივინდნენ და იცით რა მითხრეს? — როგორც არ უნდა ეცადო, მიახლოვებითაც ვერ წარმოიდგენ, როგორ ქვეყანაში მიდიხარ. მის მსგავსს ვერსად ვერასოდეს ნახავო. როდესაც საქართველოს საზღვარი გადმოვკვეთეთ, მე და ჩემი მუსიკოსი მეგობრები ფანჯრებს მივაწყდით, გვინდოდა ყველაფერი კარგად დაგვენახა, არაფერი გამოგვრჩენოდა და აი, ხომ ხედავთ, რა დღეში ვარ. ემოცია მახრჩობს და სიტყვებსაც ველარ ვპოულობ, რომ სათქმელს თავი მოვუყარო. გკოცნით ყველას.

— ჩვენ მოუთმენლად ველით თქვენი კონცერტების დღეს, მაგრამ მე ვიცი, რომ თქვენს მეუღლესთან თბილისში მესამედ დააფიქსირეთ ამ ფაქტს.

— მართალს ბრძანებთ. ახლავე აგიხსნით, რაშია საქმე. ჩემი მეუღლე ამერიკელია და პირველი რეგისტრაცია სწორედ მის ქვეყანაში მოხდა, შემდეგ წესის მიხედვით ხელი ინგლისში მოვაწერეთ. ექვსი წლის გოგონა გვყავს, მაგრამ ჩვენ ისევ ისე გვიყვარს ერთმანეთი, როგორც მაშინ, შესაძლებელია კიდევ უფრო მეტადაც. ამიტომაც, ყოველთვის გვინდოდა ჩვენი ქორწინების მესამე რეგისტრაცია უკვე არა მარტო ოფიციალური, არამედ საზეიმო და მუდამ დასამახსოვრებელი ყოფილიყო. ჩემმა მეგობრებმა მირჩიეს, რომ თბილისზე უკეთეს ადგილს ამისათვის ვერსად ვიპოვნიდი. მე ჯერ-ჯერობით მხოლოდ ვოცნებობ, რომ თქვენს ქალაქში ვიზეიმებ ჩემი სიყვარულის დღესასწაულს.

დიდი მადლობა მოწვევისათვის, — უთხრა გილანმა ბატონ ბორის თბილელს — საქკონცერტის დირექტორს, ბევრი შესანიშნავი საქმის მოთავესა და ინიციატორს, — მე და ჩემი მუსიკოსები მოუთმენლად ველით შეხვედრას თბი-



ლისელ მსმენელთან. იქვე შევთანხმდით, რომ მეორე დღეს ჩვენი საუბარი საქართველოს საზღვარგარეთთან კულტურული ურთიერთობის საზოგადოებაში გაგრძელდებოდა, მაგრამ სწორედ აქ, პირველად ვიხილეთ საოცრად შეწუხებული და განაწყენებული გილანი.

აპარატურის გადმოზიდვისათვის მოყვანილ ჯარისკაცებს წვიმის ქვეშ მიუტოვებიათ უძვირფასესი ტექნიკით სავსე ყუთები და წასულან. — ჩვენს კონტრაქტში არ იყო გათვალისწინებული მუშახელის პუნქტი; ასეთ შემთხვევაში ყოველთვის ჯანსაღ ენთუზიაზმსა და პირად სურვილებს გავყავართ ფონს, თუმცა, ახლა ყველაფერი მოგვარებულია და მეც ძალზე გახარებული ვარ — მითხრა მეორე დღეს იან გილანმა — ვერც იმ ნიჭიერ მხატვარს მოვუხადე სათანადო მადლობა, გუშინ შესანიშნავი ნამუშევარი რომ მაჩუქა.



„ის ნიჭიერი მხატვარი“ — ლევან ვარდოსანიძე გახლავთ. ლევანი უკვე დიდი ხანია მუშაობს მსოფლიოს ჯაზური და როკ-მუსიკის ვარსკვლავთა პორტრეტებზე. მისი რამდენიმე ნამუშევარი თბილისის ჯაზ-ფესტივალის საპატიო სტუმრებსაც უსახსოვრეს. იან გილანი კი სწორედ მისი პოპულარობის ზენიტურ პერიოდში ჰყავს ასახული. — „ცეცხლში“, ასე ქვია სურათს, რომელიც მომღერალს ყოველთვის გაახსენებს თბილისს და მის ქართველ გულშემატკივრებს. ჩვენი ინტერვიუს მეორე ნაწილში უკვე აშკარა და ნათელი გახდა მომღერლის შემოქმედებითი პორტრეტი.

— რა მოხდა 1987 წელს?

— მოხდა ის, რომ „დიიფ ფარფლმა“, ჩემს წინადადებას ახალი ალბომის ჩაწერის შესახებ, სრული დუმილით უპასუხა. მართალი გითხრათ, კარგა ხანს შოკის მდგომარეობაში ვიყავი. შემდეგ კი ვიგრძენი საოცარი შვება და თავისუფლება, თავისუფლება, რომელმაც საშუალება მომცა მთელი ჩემი ენერგია და ნიჭი საკუთარ სოლო-კარიერას მოვახმარო. „დიიფ ფარფლ“ არასოდეს ყოფილა მომუშავე ჯგუფი. აბა წარმოიდგინეთ, ერთი ფირფიტის ჩაწერას ზოგჯერ 2 წელიწადს ანდომებდნენ, ბევრს მოგზაურობდნენ. მოგზაურობით მუსიკოსი წინ ვერ წავა. ტურნე იმისათვის არის საჭირო, რომ შენი ნალვაწი რეალურად შეაფასო, შეიტყო, რა მოსწონს და რა არ მოსწონს მსმენელს, აივსო ახალი შთაბეჭდილებით, დადებითი მუხტით და ასე დატვირთული სასწრაფოდ შეუდგე ახალ ალბომზე მუშაობას. საგასტროლო გასვლა ექვს თვეზე მეტს არასოდეს უნდა გაგრძელდეს. სანამ „დიიფ-ფარფლ“ მოგზაურობდა, მე და როჯერ გლოვერმა 2 ფირფიტა ჩავწერეთ. მოკლედ, მე მუშა მუსიკოსი ვარ და დღემდე უდიდეს ყურადღებას ვუთმობ ცხოვრებისა და მუშაობის რეჟიმს. თქვენ მკითხეთ, ქრისტეს პარტიის შესახებ — „იესო ქრისტე — სუპერსტარი“ უმაღლესი რანგის მუსიკალური ნაწარმოებია როკის ისტორიაში. მთავარი ვოკალური პარტიის ჩაწერა ჩემთვის შესანიშნავი სკოლა იყო, როგორც მომღერლისათვის, თუმცა ვერ გეტყვით, რომ ჩემს სულიერ კონდიციაში გამოიწვია რაიმე ცვლილება. საზოგადოდ, მე ჩემი პირადი დამოკიდებულება მაქვს რელიგიური და პოლიტიკური იდეოლოგიისადმი. ვთვლი, რომ საქმისათვის არა აქვს მნიშვნელობა, მუსულმანი მაწყენინებს თუ კათოლიკე, არც ის არის დასაფიქსირებელი, ინგლისელი მიყვარს თუ ფრანგი. მთავარია, რომ ყველა ჩვენთაგანი ადამიანია და ამიტომ, ყველას, უპირველესად ობიექტურობა გვმართებს ერთმანეთის მიმართ. რაც შეეხება „სუპერსტარის“ ვიდეოვარიანტს, უნდა გითხრათ, რომ მე თავიდანვე ვიყავი მიწვეული მთავარ როლსა და პარტიაზე, მაგრამ სცენარის გაცნობის შემდეგ მივხვდი, რომ ეს ფილმი ოდნავადაც ვერ დააკმაყოფილებდა ჩემს წარმოდგენას თვით ოპერის ეკრანულ ვარიანტსა და საერთოდ, ქრისტეს თემაზე. გარდა ამისა, ვიგრძენი, რომ ფილმში ჩემი მონაწილეობა რეკლამის თვალსაზრისითაც იყო გათვალისწინებული. ამიტომ კატეგორიული უარი ვთქვი.

მე არასოდეს მქონია პრეტენზია ვარსკვლავობაზე. საერთოდ, ვთვლი, რომ მე და ჩემი თაობის მუსიკოსებმა ერთად შევკრიბეთ ინგლისური და ამერიკული მუსიკის ყველა საუკეთესო მიმართულება, მივეცით მას გარკვეული სახე და ის ფაქტი, რომ სწორედ ამ ქვეყნებიდან წამოსულ, მდიდარ ბაზაზე აღმოცენებულ როკს დღეს უამრავ ქვეყნებში ჰყავს შესანიშნავი მიმდევრები. შეიძლება ჩაითვალოს როკ მუსიკის განვითარების ყველაზე მნიშვნელოვან ეტაპად.

თქვენ მეკითხებით, მაქვს თუ არა მუსიკისაგან თავისუფალი დრო? დიახ, მაქვს, იმიტომ, რომ არ შემიძლია ფეხბურთის და ბილიარდის გარეშე ცხოვრება. გარდა ამისა, უდიდეს სიამოვნებას მგვრის სადურგლო საქმე. ხშირად ვმუშაობ ხეზე და ამ საქმიანობასაც შემოქმედებად ვთვლი.

— იანის რომელი თვისება გიყვართ ყველაზე მეტად? ვეკითხები ქალბატონ ბრონვენს.

— იანი არის ჯენტლმენი: დიახ, ცალ-ცალკე. თავაზიანობისა და კაცობის შესანიშნავი კომპოზიტი, კეთილი, ძლიერი, ობიექტური, არასოდეს არაფერს არ ართულებს, ცდილობს ჩვეულებრივი ადამიანური პოზიციით მოხსნას ყველა პრობლემა, ამიტომ, მასთან ცხოვრება ჩემთვის უდიდესი ბედნიერებაა. ჩვენ კარგი ოჯახი გვაქვს. როდესაც იანი მოგზაურობიდან დაბრუნდება, შეიძლება ერთი შვილი კიდევ შეემატოს ჩვენს სამეულს. გადაეცით მთელ ქართველ ხალხს ჩვენი უდიდესი სიმპათია, სიყვარული და აღფრთოვანება. ვიცი, რომ თავისუფლებისათვის იბრძვით. თავისუფლებაა ადამიანის ყველაზე დიდი ღირსება და ასეთი ღირსეული ხალხი სრულიად იმსახურებს მას.

...23 მაისი. იან გილანის სასტუმროს ნომერში დიდი მზადებაა. ხუმრობა საქმე ხომ არ არის? იანი თეთრ ჩოხას იცმევს, მისი მეუღლე კი ჩიხტიკოპს ირგებს. თუმცა ჯერ კიდევ არ იციან, რა ელით წინ. რიყემდე არაფერი განსაკუთრებული არ მომხდარა.



აქ კი ცხენებზე ამხედრებული ჩოხოსანი ვაჟკაცებისა და თბილისური ფაეტონის დანახვაზე გილანმა გაოცება ვერ დამალა. აბა, სად უნდა ენახა ასეთი ესკორტი, რიტუალების სასახლემდე რომ ფლოქვების თქარათქურითა და შეძახილებით მიაცილებდა. ან ამდენი ვარდის ფურცელი ხელმოწერილ წყვილს თავზე რომ დააფრქვიეს და ასეთი მრავალჟამიერი „მართვემ“ რომ დააგუგუნა. ტრადიციულად, „ვეფხისტყაოსანი“ და ქართული ქამარ-ხანჯალიც, უსახსოვრეს თბილისში ხელმეორედ „გაბედნიერებულ“ წყვილს და მხედრიონი ეთნოგრაფიული მუზეუმისაკენ დაიძრა.

... „ვისია, ვისია“ — დასჭექეს ბიჭებმა და ქართული ხმლების წკარუნმა დაფარა დამხვდურთა ალტაცების შეძახილი. იანმა და მისმა მეუღლემ კარგად გამოცდილი ქართველი წყვილივით გაიარა ხმლების დერეფანი და... „მწვანე მოლზე შემომდგარი ულამაზესი სახლები რომ დავინახე, მართალი გითხრათ, რამდენჯერმე თვალებზე ხელი ავიფარე. თავი სიზმარში მეგონა. მსოფლიო მოვიარე და ამგვარი სილამაზე და კოლორიტი არსად მინახავს, არც ასეთი ცეკვა, არც ასეთი სიმღერა მომისმენია, იტყვის მოგვიანებით გილანი. სახელდახელო სუფრას ბატონი ჯემალ ბაღაშვილი უძღვებოდა თავისებური ტაქტითა და მომხიბვლელობით. აქ კი გილანს უკვე ვაჟკაცობამაც უმტყუნა და სრულიად დაუფარავად ატირდა.

უნდა გენახათ, მუზეუმის დასათვალიერებლად მოსული იაპონელი ტურისტების განცვიფრება, ჯერ გილანის თბილისში ნახვით, და შემდეგ მისი უჩვეულო ჩაცმულობით. თუმცა, ხომ მოგეხსენებათ, მათი ოპერატიულობის ამბავი. სასწრაფოდ ფოტოფირზე აღბეჭდეს ყველაფერი და ხალისიანად შემოუერთდნენ მაყრიონს. მილოცვებს და ყიჟინას ბოლო არ უჩანდა. თუმცა აქაც კიდევ ერთხელ დავრწმუნდით იმაში, რომ პროფესიონალი — პროფესიონალია — გილანს ხუთი წუთითაც არ დაუგვიანია რეპეტიციაზე და რაც მთავარია, იმდღევანდელი ფანტასტიური კონცერტითა და ამ სიტყვებით უთხრა ქართველ ხალხს ყველაზე დიდი მადლობა.

— არასოდეს დამავიწყდება, მთელ ქვეყანას ვეტყვი, რომ დედამიწაზე არსებობს სამოთხე, რომელსაც საქართველო ჰქვია...

**მაია დათუნაშვილი**

**ბადრი ვადაჭკორიას ფოტოები.**



**იჩქარეთ!**
შეიძინეთ ლატარია-სპორტპროგნოზი „ოლიმპია — 90“!
თქვენს განკარგულებაშია მხოლოდ 3 დღე!
ბილეთების გაყიდვის, „ბ“ და „გ“ ნაწილების უკან ჩაბარების ბოლო ვადაა 31 მაისი!

# ეს ერთი და სხვა მრავალი...

**...ქართველმა ხალხმა ამაგის დაფასება იცის. 27 მაისს ფეხბურთის მრავალრიცხოვანი გულშემატკივარი ოვაციებით შეეგება ქართული ფეხბურთის სიამაყეს და ყველასათვის საყვარელ ბორის პაიჭაძეს. არანაკლები ტაში ხვდა წილად ჩვენს პოპულარულ მეკარეს, ამჟამად ზუგდიდის „ოდიშის" უფროს მწვრთნელს ოთარ გაბელიას, რომელსაც საზეიმო გაცილება მოუწყვეს. იყო პრიზები, საჩუქრები...**

27 მაისი. თბილისის ეროვნული სტადიონი. ეს დღე დიდხანს არ დაავიწყდება ქართველ გულშემატკივარს — საქართველოს ეროვნული ნაკრები ლიტვის ეროვნულ ნაკრებს შეხვდა ამხანაგურ მატჩში. მატჩში, რომლის შედეგსაც არავითარი სპორტული ინტერესი არ ჰქონდა. ჰქონდა მხოლოდ ძმური, ვაჟკაცური და პროფესიონალური ინტერესი. დიახ, სტადიონზე მოსულ გულშემატკივარს აინტერესებდა თუ როგორ თამაშს აჩვენებდა ახლადჩამოყალიბებული საქართველოს ეროვნული ნაკრები. მოდით, ნუ შევაფასებთ ძალიან მკაცრად მწვრთნელების და ფეხბურთელების ნაღვაწს. შეიძლება ყველაფერი ისე ვერ გამოუვიდათ, როგორც ჩაფიქრებული იყო, მაგრამ უპასუხისმგებლობას ვერავის დავაბრალებთ. არავის გამოყოფა არ გვინდა, მაგრამ, ჩვენი აზრით, სამი ფეხბურთელი მაინც განსაკუთრებული ქების ღირსია. ესენი არიან განაპირა მცველები გია ფირცხალავა და გიორგი ნადირაძე და „საყრდენი" ნახევარმცველის მოვალეობის შემსრულებელი დიმიტრი კუდინოვი...

რაც შეეხება ლიტვის ნაკრებს, უნდა ვთქვათ, რომ ეს ჩვენთვის კარგად ნაცნობი „ჟალგირისი" იყო. ეს გუნდი თავისი მთავარი მწვრთნელის, ბენიამინას ზელკიავიჩიუსის ხელმძღვანელობით ყოველთვის გამოირჩეოდა საკუთარი სტილით და ამ დღესაც ძალზედ მაღალი კლასის ფეხბურთი აჩვენა. ლიტვის ნაკრების თითქმის ყველა ფეხბურთელი კარგად იყო ცნობილი ფეხბურთის მოყვარულთათვის — არვიდას იანონისი, რობერტას ფრიდრიკასი, ვიაჩესლავ სუკრისტოვი, არმინას ნარბეკოვასი, რიმას მაჟეიკისი, და რა თქმა უნდა, ვალდას ივანაუსკასი,—გუნდის ერთ-ერთი უძლიერესი ფეხბურთელი. ზელკიავიჩიუსმა მხოლოდ და მხოლოდ ორი დებიუტანტი გამოიყვანა — მცველი რიტის ნარუშიავიჩიუსი და ნახევარმცველი რიმას ჩირბა. მთლიანობაში, ლიტვის ნაკრებმა საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვა და არც უნდა ყოფილიყო გასაკვირი, რომ ორივეჯერ მათ მიჰყავდათ ანგარიში. ჯერ ნარბეკოვასმა გამოიყენა პენალტი პირველ ტაიმში, რასაც მეორე ტაიმში გია გურულის შესანიშნავად შესრულებული საჯარიმო დარტყმა მოჰყვა დაახლოებით 25 მეტრიდან. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მეორე ტაიმი საქართველოს ნაკრებმა გაცილებით უკეთ ჩაატარა, რაც ალბათ იმითაც იყო განპირობებული, რომ ძალზედ გააქტიურდნენ მოედანზე ახლად შემოსულები როსტომ თორღაშვილი, შალვა ბიგვავა და გოჩა გოგრიჭიანი. ძალზედ ეფექტური იყო ლიტვის ნაკრების მეორე გოლი, რომელიც მათმა ცენტრალურმა ნახევარმცველმა ვირგილიუს ბალტუშნიკასმა გაიტანა ქუსლით. მატჩის დამთავრებამდე ათი წუთით ადრე კი ბრწყინვალე სამსვლიანი კომბინაცია გოგრიჭიანი-გურული-კაჭარავა, ამ უკანასკნელის ზუსტი თავური დარტყმით დამთავრდა და საბოლოოდ შეხვედრის მთავარმა მსაჯმა, საერთაშორისო კატეგორიის არბიტრმა მევლუდ მიმინოშვილმა, რომელსაც ჯემალ წერეთელი და ავთანდილ კოკაია ეხმარებოდნენ, საყაიმო ანგარიში დააფიქსირა — 2:2. კიდევ ერთხელ ვიმეორებთ, რომ ნუ შევაფასებთ მკაცრად საქართველოს ეროვნული ნაკრების გამოსვლას მის პირველ მატჩში, სადაც ძალზედ სერიოზული და მაღალი კლასის მეტოქე ჰყავდა.

**ეს ერთი და სხვა მრავალი...**

**დასასრულ კი, გაგაცნობთ ამ ისტორიულ მატჩში მონაწილე გუნდების შემადგენლობებს:**

**საქართველო:** ბალაძე, კეტაშვილი, ცხადაძე (კაჭარავა), კუდინოვი, ფირცხალავა, ნადირაძე, ქეცბაია, რევიშვილი (გოგრიჭიანი), კორძაძე (თორღაშვილი), გურული, ფანცულაია (ბიგვავა).

**ლიტვა:** მარტინკენასი (კონციავიჩიუსი), სუხმაკოვი, ნარუშიავიჩიუსი, მაჟეიკისი, იანონისი (ბალტუშნიკასი), ტაუტკუსი, ჩირბა, ივანაუსკასი, ფრიდრიკასი, სუკრისტოვი, ნარბეკოვასი.

**გია ტუხაშვილი**

**ა. კოტორაშვილის ფოტო.**



# მიმართვა ქართველ სპორტსმენებს

მოგეხსენებათ, რომ მიმდინარე წლის ზაფხულის ბოლოს აშშ-ის ქალაქ სიეტლში უნდა ჩატარდეს კეთილი ნების თამაშები. ჩვენთვის ცნობილია, რომ ამ თამაშებში მონაწილეობას მიიღებს ე. წ. სსრკ ნაკრები. ამ ნაკრებში, როგორც ყოველთვის, ალბათ მიწვეულნი იქნებიან სპორტსმენები საქართველოს სსრ რესპუბლიკიდან.

გამომდინარე იქედან, რომ კეთილი ნების თამაშებში, ჩვენი აზრით, არ უნდა მონაწილეობდეს ისეთი არაკეთილი „დერჟავა", როგორიც სსრკ-ა, ხოლო ამის ალკვეთა ჩვენს სურვილს აღემატება, მოგიწოდებთ თქვენ, ყველა ქართველ სპორტსმენს, ნუ მიიღებთ მონაწილეობას სსრკ-ს გუნდის შემადგენლობაში, რათა ამით მაინც გამოვხატოთ ჩვენი დამოკიდებულება და კეთილი სურვილები ამ შესანიშნავი თამაშებისადმი.

ქართველი სპორტსმენების მონაწილეობას სიეტლის კეთილი ნების თამაშებში მიზანშეწონილად და აუცილებლად მივიჩნევთ მაშინ, თუ ჩვენი ქვეყანა წარმოდგენილი იქნება, როგორც სუვერენული სახელმწიფო შესაბამისი ეკიპირების მქონე სპორტსმენთა ნაკრებით.

**სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის საბჭო.**

### გასწორება

ჩვენი გაზეთის წინა ნომერში გამოქვეყნებულ მასალაში „მხოლოდ ზნეობრივი გზით" გაიპარა შეცდომა. მეოთხე სვეტის მე-5 აბზაცში ნაცვლად 123"-ათასისა უნდა იყოს 23-ათასი-". დანარჩენი როგორც ტექსტშია.

# საჭადრაკო სიახლეები

# კიდევ ერთი ეროვნული

**27 მაისს** თბილისის ჭადრაკის სასახლეში დაიწყო კიდევ ერთი ეროვნული ტურნირი — საქართველოს მოჭადრაკე ვაჟთა საიუბილეო, 50-ე ჩემპიონატი (უმაღლესი ლიგა).

საქართველოს ჩემპიონატი ტრადიციული შეჯიბრებაა. იგი 1928 წელს იღებს სათავეს, მაგრამ „მუდმივმოქმედი" მხოლოდ 1944 წლიდან გახდა. აქ აიდგეს ფეხი ცნობილმა მოჭადრაკეებმა ვიქტორ გოგლიძემ, ტიგრან პეტროსიანმა, არჩილ ებრალიძემ, მიხეილ შიშოვმა, ბუხუტი გურგენიძემ, რომან ჯინჯიხაშვილმა, თამაზ გიორგაძემ, ელიზბარ უბილავამ, გენადი ზაიჩიკმა, ზურაბ აზმაიფარაშვილმა და სხვებმა. ჩემპიონატში მონაწილეობა ყოველთვის ოცნება იყო ახალგაზრდა მოჭადრაკეთათვის, მით უმეტეს, მაშინ, როცა ჩვენში თითო-ოროლა ტურნირი ეწყობოდა და დაოსტატებისთვის სხვა სარბიელი არ გაგვაჩნდა. თითქმის 70-იანი წლების ბოლომდე ჩემპიონატი უძლიერესი შემადგენლობისა იყო. მერე, როდესაც მოწინავე მოჭადრაკეებმა საერთაშორისო სარბიელზე გაიკვალეს გზა, ეროვნული ჩემპიონატი ასე თუ ისე დაკნინდა. უძლიერესნი აღარ მონაწილეობენ. სამწუხაროდ, დღესაც ასეა.

საიუბილეო ჩემპიონატის მონაწილეთა შორის არც ერთი დიდოსტატი არ არის, თუმცა ისინი ექვსნი არიან. საერთაშორისო ოსტატებმაც „ვერ მოიცალეს".

ჩვენმა დიდოსტატმა ქალებმა ამას წინათ ჩინებული მაგალითი უჩვენეს ყველას, თუ როგორი უნდა იყოს ეროვნული ჩემპიონატი. მაგრამ საქართველოს მოწინავე მოჭადრაკე ვაჟებმა ყურად არ იღეს იგი.

ჩემპიონატის ტიტულს ერთმანეთს შეეცილება 16 ახალგაზრდა ოსტატი და ოსტატობის კანდიდატი. უმრავლესობამ მონაწილეობის საგზური შესარჩევ ტურნირებში მოიპოვა. ზოგი მათგანი პირველად თამაშობს ესოდენ პრესტიჟულ ტურნირში.

აი, მონაწილენიც: ოსტატები — საქართველოს 1989 წლის ჩემპიონი გია ბაღათუროვი, თამაზ ტაბატაძე, ოსტატობის კანდიდატები გივი გოგიჩაიშვილი, კახა შალამბერიძე, რევაზ კაკაბაძე, აკაკი იაშვილი, იანის პოპოვი, ზაზა ხოფერია, მიხეილ კეკელიძე, შალვა ხაბურზანია, გიზო ჭურღულია, ალექსანდრე დგებუაძე, (ყველა — თბილისი), რომან სიჭინავა (სენაკი), ხვიჩა სუპატაშვილი, შოთა კუჭუხიძე, ნუკრი მანაგაძე (სამივე — ქუთაისი).

საიუბილეო, 50-ე ჩემპიონატი 16 ივნისამდე გაგრძელდება.

### დიდი მიზნისათვის

23 მაისს, მოსკოვში გა- [illegible] „მსოფლიო თასის" მეორე გათამაშების ფინალური შეჯიბრების ბოლო შესარჩევი ტურნირი.

„მსოფლიო თასის" გათამაშება დიდოსტატთა საერთაშორისო ასოციაციამ შემოიღო 1988 წელს. გათამაშება, რომლის ფინალურ ტურნირში 25 დიდოსტატი მონაწილეობს, ორ წელიწადს გრძელდება. თითოეული დიდოსტატი ოთხ ტურნირში გამოდის, რომელთაგან სამი ჩათვლაში შედის. ამ სამ ტურნირში ნაჩვენები საუკეთესო შედეგების ჯამის მიხედვით ვლინდებიან გამარჯვებულნი. თასის პირველი გათამაშება (1988-1989 წწ) მოიგო მსოფლიო ჩემპიონმა გარი კასპაროვმა.

„მსოფლიო თასის" მეორე გათამაშება 1991-1992 წლებში გაიმართება. ამჟამად მოსკოვში უნდა შეირჩეს ამ პაექრობის ფინალის 12 მონაწილე (მათგან მხოლოდ ხუთი შეიძლება იყოს სსრ კავშირიდან). საპაექროდ ჩამოსული არიან — 1988 წელს ბელგრადში, 1989 წელს მოსკოვსა და პალმა დე მალიორკაში გამართულ შესარჩევ შეჯიბრებაში გამარჯვებული 42 დიდოსტატი. ტურნირი შვეიცარიული სისტემით, 11 ტურად მოეწყობა.

ბრძოლაში ჩაებმებიან თანამედროვეობის გამოჩენილი მოჭადრაკეები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან. მონაწილეთა შორისაა თბილისელი დიდოსტატი, 30 წლის ზურაბ აზმაიფარაშვილი. ფიდე-ს ბოლო რეიტინგ-ლისტის მიხედვით ზურაბი მსოფლიოს ას უძლიერეს მოჭადრაკეთა შორის მეთექვსმეტეა. მისი რეიტინგია 2610.

ამ ბოლო დროს ნიჭიერი დიდოსტატი წარმატებით მონაწილეობს საერთაშორისო ტურნირებში. ამას წინათ იგი კარგად გამოვიდა ჰოლანდიაში, ინგლისსა და ავსტრალიაში. ამიტომ იმედი გვაქვს, რომ ამჯერადაც მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდება.

ფინალური ტურნირი მოსკოვში 6 ივნისს დამთავრდება.

3 ტურის შემდეგ ზ. აზმაიფარაშვილს 2 ქულა ჰქონდა, მან სძლია იუგოსლაველ ა. ჰულაკს და დაუზავდა პ. ნიკოლიჩს (იუგოსლავია) და მ. ჩანდლერს (ინგლისი).

### ამჯერად აზოვში

ფიდე-ს გადაწყვეტილებით 1990 წელს უნდა დამთავრდეს ბრძოლა მოჭადრაკე ქალთა მსოფლიო პირველობის პრეტენდენტის საგზურისთვის. ამიტომ წელსვე მოეწყობა ორივე საზონათშორისო ტურნირი და პრეტენდენტთა მატჩ-ტურნირი. 1991 წლის დამდეგს გაიმართება პრეტენდენტთა მატჩ-ტურნირში პირველი და მეორე ადგილების მფლობელთა შორის დამატებითი მატჩი, რომელშიც გამარჯვებული იმავე წლის შემოდგომაზე მსოფლიო ჩემპიონ მაია ჩიბურდანიძეს ტიტულში შეეცილება.

4 ივნისს ქალაქ აზოვში, დონისროსტოვთან რომ არის, დაიწყება პირველი საზონათშორისო ტურნირი. ბრძოლაში პრეტენდენტთა მატჩ-ტურნირის სამი საგზურისთვის 17 მოჭადრაკე მიიღებს მონაწილეობას.

ტურნირში ითამაშებენ დიდოსტატები ალდკო მადლი (უნგრეთი), აგნეშკა ბრუსტმანი (პოლონეთი), მარგარიტა ვოისკა (ბულგარეთი), ელიშკა კლიმოვა (ჩეხოსლოვაკია), სსრ კავშირის ჩემპიონი, საერთაშორისო ოსტატი ირინა ჩელიუშკინა და სხვ.

ქართველი პრეტენდენტებიდან ამ შეჯიბრებაში ჩაებმებიან საქართველოს ჩემპიონი, დიდოსტატი ქეთევან არახამია და საერთაშორისო ოსტატი ქეთევან კახიანი.

არ შევუდგებით პროგნოზებს, მაგრამ ვიტყვით, რომ ძნელი ბრძოლის გადახდა მოუწევს ჩვენს სახელოვან მოჭადრაკეებს. ქეთევან არახამიას მსგავს ტურნირში თამაშის საკმაო გამოცდილება აქვს. ქეთევან კახიანი კი პირველად სცდის ძალას ესოდენ „დაძაბულ სიტუაციაში", როცა ყოველი გამარჯვება აახლოვებს შეხვედრას... მსოფლიო ჩემპიონთან. მიუხედავად ამისა, მათ „სხვა არაფერი დარჩენიათ" — უნდა იბრძოლონ გამარჯვებისთვის! ცხადია, ორივე ქეთევანი არ დააკლებს ცდას გავიდნენ ბრძოლის შემდგომ ეტაპში.

მეორე საზონათშორისო ტურნირი მალაზიაში 26 ივნისიდან გაიმართება. ასე რომ, შორეულ ქვეყანაში მოუწევთ გამგზავრება ამ ტურნირის მონაწილეებს მსოფლიოს ექსჩემპიონ ნონა გაფრინდაშვილსა და დიდოსტატ ნანა ალექსანდრიას.

ახლახან ცნობილი გახდა, რომ აზოვის ტურნირში საბჭოთა დიდოსტატი ალისა გალიამოვა დაშვებულია დიდოსტატ ნინო გურიელის მაგიერ. ეს გააკეთა სსრ კავშირის ჭადრაკის ფედერაციამ, ძან იცოდა, რომ შარშან პუერტორიკოში გამართულმა ფიდე-ს კონგრესმა ქართველი დიდოსტატი გალიამოვაზე წინ დააყენა საზონათშორისო ტურნირში მონაწილეობის კანდიდატთა სარეკომენდაციო სიაში და იგი აზოვის ტურნირში საასპარეზოდ მიიწვია. ახლა კი შეცვალა თავისი გადაწყვეტილება. რატომ?

ამ დისკრიმინაციული გადაწყვეტილების გამო საქართველოს სპორტსახკომისა და ჭადრაკის ფედერაციის ხელმძღვანელებმა საპროტესტო წერილი გაუგზავნეს ფიდე-ს, სსრ კავშირის სპორტსახკომის, ჭადრაკის ფედერაციის ხელმძღვანელებს, გაზეთ „სოვეტსკი სპორტს" და სსრ კავშირის ოლიმპიურ კომიტეტს უსამართლო გადაწყვეტილების გადასინჯვის მოთხოვნით. წინააღმდეგ შემთხვევაში, ნათქვამია წერილში, საქართველოს ჭადრაკის ფედერაცია პასუხად იტოვებს რადიკალური ზომების მიღების უფლებას.

### შეხვედრები იუგოსლავიაში

მაისის დამდეგს იუგოსლავიაში იმყოფებოდა საქართველოს მოჭადრაკეთა დელეგაცია.

2 მაისს ქალაქ სმედერევსკა-პალანკაში მოეწყო ჩვენი მოჭადრაკე ქალთა ნაკრების ამხანაგური შეხვედრა ამ ქალაქის სპორტკლუბ „გოშას" დიდოსტატ ვაჟთა ნაკრებთან ექვს დაფაზე. ეს იყო ამ გუნდების მეორე შეხვედრა. პირველი მოეწყო თბილისში 1987 წელს.

შეხვედრა მოიგეს მასპინძლებმა — 5:1. პარტია ყაიმით დაამთავრეს მაია ჩიბურდანიძემ და ქეთევან კახიანმა. დამარცხდნენ ნონა გაფრინდაშვილი, ნანა ალექსანდრია, ქეთევან არახამია და ნინო გურიელი.

4-12 მაისს ქართველმა მოჭადრაკეებმა მონაწილეობა მიიღეს ქალაქ პულაში დიდ ღია საერთაშორისო ტურნირში. შეჯიბრებაში, რომელიც შვეიცარიული სისტემით 9 ტურად ჩატარდა, 528 მოჭადრაკე მონაწილეობდა. მათ შორის იყო 15 საერთაშორისო დიდოსტატი და 50 ქალი.

აი, ჩვენების შედეგები: ნანა ალექსანდრია — 7 ქულა, ნონა გაფრინდაშვილი, ქეთევან არახამია, გია გიორგაძე — 6,5-6,5, გია ბაღათუროვი, თამაზ ტაბატაძე — 6-6, ქეთევან კახიანი — 5,5, თამარ ხუგაშვილი — 4,5. ნანა ალექსანდრიას საგანგებო ჯილდო გადაეცა ქალთაგან საუკეთესო შედეგისთვის.

**თენგიზ გიორგაძე,**
**საერთაშორისო არბიტრი.**


ახალგაზრდა ივერიელი
1921
Общественно - политическая молодежная газета «Ахалгазрда Ивериели»

ტელეფონები: მისაღები — 98-97-81; პასუხისმგებელი მდივანი — 98-31-56; წერილების განყოფილება — 99-00-49.

გაზეთი გამოდის კვირაში სამჯერ სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს უკან არ უბრუნდებათ.

საქართველოს კპ ცკ-ის სტამბა 380096, თბილისი-96, მ. კოსტავას ქ. № 14, იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის № 29 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15 Наш индекс 66400 უე 00296

რედაქტორი
მერაბ ბალარჯიშვილი

რედაქციის მისამართია
ქ. თბილისი — 380008
მ. კოსტავას ქ. № 14.